# საერთო გაზეთი

№22 (572) • 5 აგვისტო, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## „ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ჩვენს ღირებულებებს“



ქალბატონო სალომე, ჩაუდექით სათავეში თქვენს მიერ წამოწყებულ ამ მამულიშვილურ საქმეს, უხმეთ ერსა და ბერს, რომ მათთან ერთად, მათთან დათათბირებით გამოინახოს ის გზა, რომელიც საქართველოს თავის ეროვნულ ღირებულებებთან დააბრუნებს.

## პოლიტიკური ბალაგანი და ფაჩიკოს გარმონივით დაშლილი ოპოზიციური „ერთობა“





გუბაზ სანიკიძევ, ლევან სანიკიძის 310-ე სირცხვილო და თავისმოჭრავ, გუბაზ სანიკიძე ხარ შენ თუ გუბაზ პუტინი, ან გუბაზ დუგინი, ქართული სახელმწიფოს დაშლის გეგმას ასე ღიად და დაუფარავად რომ ახმოვანებ?

## დღის წესრიგი 21-ე საუკუნისთვის

## უფლისკენ მაცქერალი კაცი



## დღეს ქუჩას „კანონიერი ქურდები“ კი არა „ბესპრედელშჩიკები“ მართავენ





სახეზე გვაქვს ორგანიზებულ-დანაშაულებრივი საზოგადოების კლასიკური მაგალითი – კოლექტიური ნაცები, ანუ ადგილობრივი „ბესპრედელშჩიკები“

## მკვლელად სახელმწიფოს გამოყვანა სახელმწიფოს მიზანმიმართული მოშლის მცდელობას ნიშნავს და დანაშაულია

## დამფუძნებელი



## ალი ბაბაევი: ვინც საქართველოს მტერს მიწოდებს, თვითონ არის საქართველოს მტერი და პროვოკატორი



## სიკვდილის მოციქულები და დამკრძალავი ბიუროები – „ჭუტავიზია“, „ჩაჯვივიზია“ და „კეზერავიზია“

# „ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ჩვენს ღირებულებებს“



„არ ვიცოდი, რომ საქართველოში ამდენი გამომძიებელი იყო. მე არ გახლავართ გამომძიებელი და არც ვაპირებ რომ გავხდე. პროკურატურას რომ მივანდოთ ეს საქმე და ყველა არ ერეოდეს, ბევრად უფრო კარგი იქნებოდა და უფრო წავიდოდა წინ ეს საქმე, მე ვაჟკაცობა ვიცი ერთ-ერთზე, არ ვიცი ჯგუფური, აგრესიული და ძალადობა ადამიანებზე, ეს არის ძალიან მიუღებელი, არაქართული და მგონია, რომ ჩვენ უნდა დაუბრუნდეთ ჩვენს ღირებულებებს. კიდევ უფრო მაღალი დონის ვაჟკაცობა არის აღიარება და მონანიება. ამაზე დავფიქრდეთ ყველა და ასე გავზარდოთ ჩვენი ახალგაზრდები არა ტყუილით, დამალვით და ჯგუფური ძალადობით“, — ასეთი კომენტარი გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გიორგი შაქარაშვილის საქმესთან დაკავშირებით.

კომენტარს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების, რამდენიმე ტელეკომპანიის, არასამთავროებების, მხრიდან მძაფრი და მრისხანე კრიტიკა მოჰყვა — პრეზიდენტი კრიმინალის რომანტიზირებას და და ძალადობის წახალისებას ცდილობსო.

... რამდენჯერმე ყურადღებით წავიკითხე ეს კომენტარი და მასში მსგავსი რამ პირდაპირ კი არა გადაკვრითაც, მინიშნებითაც კი არ არის ნათქვამი.

როგორ შარზე უნდა იყო და ამასთან ერთად როგორ უსინდსო და უტიფასი უნდა იყო, რომ ზემოხსენებულ კომენტარში დაინახო ის, რაც მასში არ არის და არ დაინახო ის, რაც მასში არის — უაღრესად საინტერესო კუთხით დანახული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კონცეფცია.

ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა თქვა ის, რის თქმასაც ქართველი პოლიტიკოსებისგან დიდი ხანია ველოდები — „ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ჩვენს ღირებულებებს“.

ძალიან არ უნდა გიყვარდეს საქართველო, ძალიან არაქართველი უნდა იყო მენტალურად, ძალიან მოწყვეტილი უნდა იყო შენს ფესვებს და შენს იდენტობას, რომ ვერ მიხვდე და ვერ გაიგო რა თქვა შენი ქვეყნის პრეზიდენტმა.

— რასაც თქვენ მაბრალებთ, მსგავსი არაფერი მითქვამს... თქვენ თუ ქართული არ იცით, თქვენი პრობლემაა — ასეთი პასუხი გასცა ქალბატონმა სალომემ ოთხივ კუთხით შემოსეულ თავდამსხმელებს.

არა, ქართული როგორ არ იციან, ქართული კი იციან, მაგრამ იმას ვერ ხვდებიან, რას ნიშნავს ჩვენს ღირებულებებთან ანუ ქართულ ღირებულებებთან დაბრუნება და ეს არ არის მათი ბრალი.

როგორც „საერთო გაზეთი“ წლევანდელი წლის მე-18 ნომერში წერდა: „ჩვენ დიდი ხანია ჩვენს შვილებს, ჩვენს ახალგაზრდა თაობებს ქართველებად არ ვზრდით.

არსებობს ქართული სახელმწიფო, არსებობს ქვეყანა, სახელად საქართველო, მაგრამ ეს საქართველო, ფაქტობრივად, არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველოს მოქალაქეები, ქართველები, ქართულად აღიზარდონ.

არც სახელმწიფო, არც ოჯახი, არც სხვადასხვა სტრუქტურები, არც ბეჭდური თუ ელექტრონული მედია, თითქმის არავინ, ათასში ერთხელ გამონათებული ცალკეული პერსონების გარდა, არ ფიქრობს, არ წუხს, არ ზრუნავს და არ დარდობს იმაზე, რომ თაობები, რომლებმაც ხვალ და ზეგ ქვეყნის ტვირთი უნდა ზიდონ, პირველ ყოვლისა, ქართველები უნდა იყვნენ თავიანთი მორალური კოდექსით, ადათ-წესით, საუკუნეების განმავლობაში დადგენილი ურთიერთობების ნორმებით და ვალდებულებებით.

18 ივნისის ტრაგედიის მონაწილე „ვაჟკაცები“ გაქცეულ ბიჭებს გამოენთნენ და არაგვის კალაპოტამდე ჩასდიეს...

ამ ახალგაზრდებს გვინდა ვუთხრათ: ვიცი, გეწყინებათ რასაც ახლა გეტყვით, მაგრამ არა უშავს, გეწყინოთ: არ ხართ თქვენ ქართველები და იმიტომ გააკეთეთ ეს, გვარ-სახელები კი გაქვთ ქართული, მაგრამ ქართველები არ ხართ და ეს არ არის თქვენი ბრალი: ეს ჩვენ ვერ გაგზარდეთ ქართველებად. ჩვენ არ აგიხსენით, რას ნიშნავს ქართველობა, ქართულმა სახელმწიფომ, ქართულმა სკოლამ არაფერი მოიმოქმედა, რომ ქართველები ყოფილიყავით და თქვენ რა უნდა გექნათ — რაც ქუჩაში ნახეთ, ის ისწავლეთ, რაც კომპიუტერში ნახეთ, ის გადმოიღეთ და ის მოირგეთ.

„გამზრდელი“ წაგიკითხავთ? იქ გამზრდელი მისი გაზრდილის მიერ ჩადენილი არაკაცური საქციელის გამო თავს იკლავს: „შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ? სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარო!“ — ამბობს გამზრდელი.

ვინ მოიკლავს თავს თქვენ მიერ ჩადენილ უღირსი, არაქართული და არაკაცური საქციელის გამო? რომელი მასწავლებელი წავა სკოლიდან და რომელი იტყვის: არ ვვარგებულვარ მე მასწავლებლად და გამზრდელად, რადგან ჩემი შეგირდი ასე და ასე მოიქცაო?!

ახლა ყველანი შეეცდებიან, როგორმე გამოძვრნენ ამ სიტუაციიდან და, პირველ ყოვლისა, ამის გაკეთებას შევეცდებით ჩვენ, საზოგადოება და გამოგვივა კიდევაც, როგორც ეს არაერთხელ გამოგვსვლია.

ხვალ და ზეგ კი ისევ ის გაგრძელდება, რაც დღეს ხდება — ისევ გამოეკიდებიან ვიღაც-ვიღაცები ერთმანეთს, რომ ერთმანეთს ანგარიში გაუსწორონ, ისევ გაუყრიან ერთმანეთს დანებს, ისევ შედგებიან წიხლებით სამნი თუ ოთხნი ერთ წაქცეულს და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ ჩვენ, საზოგადოება, არ ვაღიარებთ, რომ დანაშაულთა ამ უწყვეტი ციკლის ავტორები და შემოქმედები ჩვენ ვართ.

●

არსებობს კონსტიტუცია, რომელსაც ადამიანთა ჯგუფები წერენ და ქვეყნის მთავარ იურიდიულ დოკუმენტად აცხადებენ, თუმცა ამ დოკუმენტში დროის და გარემოებების მიხედვით ხშირად შედის ცვლილებები და შესწორებები.

ეს ერთი კონსტიტუციაა, ქაღალდზე დაბეჭდილი, საკანონმდებლო ორგანოს მიერ მოწონებული და დასტურმიცემული, მაგრამ არსებობს მეორე კონსტიტუცია, მთავარი კონსტიტუცია, რომელსაც ბეჭდური სახე არ აქვს და არც საპარლამენტო სხდომებზე ქცეულა განხილვის საგნად.

ეს არის ერის მიერ თავისი არსებობის მანძილზე, თავისი ისტორიული გამოცდილების საფუძველზე შექმნილი მარადიული „დოკუმენტი“, რომელიც რევიზიას და კორექტივებს არ ექვემდებარება.

ეს არის ყველა თაობის და ყველა დროისთვის სავალდებულო ეროვნული შეთანხმება — თუ როგორ და რა წესით უნდა იცხოვროს ერმა, რა წესებს უნდა ემორჩილებოდეს, რა პასუხისმგებლობა და რა ვალდებულებები აქვს ადამიანს და ა.შ. და ა.შ.

ფაქტობრივად, ეს მეორე კონსტიტუცია, ზეპირსიტყვიერად შემონახული და თაობებიდან თაობებს გადაცემული, ერის სულსა და გონებაში სამარადისოდ ჩაბეჭდილი და ჩაკირული, არის ის ქვაკუთხედი, ის ფუნდამენტი, რაზეც დგას ერის იდენტობა.

როცა ეს კონსტიტუცია ინგრევა, ინგრევა ერის ფსიქიკა, ინგრევა მის იდენტობა, და გენეტიკური კოდი.

— შვილი დედამ უნდა გაზარდოსო, — ბრძანა ბიძინა ივანიშვილმა და ვიღაც-ვიღაცებმა ირონიულად ჩაიქირქილეს: — აბა, ეს რა სათქმელი იყო, ეს ხომ ისედაც ყველამ ვიცოდითო.

— შვილი დედამ უნდა გაზარდოს... დედას კი, კაბა უნდა ეცვას, რომ შვილმა დედის კაბის კალთისთვის ხელის ჩავლება შესძლოს და მის გვერდით იაროსო, — ეს უკვე შტაინერმა თქვა.

უზარმაზარი ფილოსოფიური დატვირთვის კონცეფცია დევს ამ ერთი შეხედვით უბრალო და მარტივად გასაგებ ფრაზაში — შვილი დედამ უნდა გაზარდოს!

რა თქმა უნდა, ყველაზე არ ითქმის ეს, მაგრამ ჩვენი უმცროსი თაობის ერთი ნაწილი დედის გაზრდილს არ ჰგავს.

არც იმის ეტყობა რაიმე, რომ სკოლაში დადის, ვიღაცა რაღაცას ასწავლის, ვიღაც წვრთნის და დიდ ცხოვრებაში შესასვლელად ამზადებს.

ჩვენ ჯერ კიდევ ბოლომდე არ გვაქვს გაცნობიერებული, რა უბედურება ტრიალებს ჩვენს თავზე, ჩვენი შვილების თავზე, მთელი საქართველოს თავზე.




ჩვენ არ ვიცნობთ ჩვენ შვილებს, ჩვენ არ ვიცით, ვინ არიან ისინი — მათ თავიანთი ავტონომია შექმნეს, ფარდა ჩამოგვიკიდეს და კატეგორიულად გაგვაფრთხილეს: არ გაბედოთ ამ ფარდის გადაწევა და ჩვენს „სახელმწიფოში“ შემოხედვა — თქვენი საქმე არ არის, აქ რა ხდებაო.

არადა, ცუდი ამბები ხდება ამ ფარდის მიღმა, ძალიან ცუდი ამბები ხდება...

კიდევ რამდენი ახალგაზრდა უნდა დაიღუპოს, რომ გამოვფხიზლდეთ და განგაშის ზარები დავარისხოთ?“

●

**ქალბატონო სალომე**, თქვენ საქართველოს პრეზიდენტი ბრძანდებით და, გამომდინარე აქედან, დიდ ძალაუფლებას ფლობთ.

უმორჩილესად გთხოვთ, გამოიყენეთ ეს ძალაუფლება იმისთვის, რომ ის რაც თქვენ კომენტარის და რეპლიკის სახით ბრძანეთ, საყოველთაო სახალხო განსჯის და დისკუსიის თემად იქცეს.

ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თემაა, ფაქტობრივად, ის საძირკველია, რომელზეც დგას სახელმწიფო.

ჩაუღრმავდით სათავეში თქვენს მიერ წამოწყებულ ამ მამულიშვილურ საქმეს, უხმეთ ერსა და ბერს, რომ მათთან ერთად, მათთან დათათბირებით გამოინახოს ის გზა, რომელიც საქართველოს თავის ეროვნულ ღირებულებებთან დააბრუნებს.

თუ ჩვენ ვერ შევძლებთ აღვადგინოთ ჩატეხილი ხიდი წარსულსა და აწმყოს შორის, აწმყოსა და მომავალს შორის, აღვადგინოთ გაწყვეტილი კავშირი თაობებს შორის, ნელ-ნელა, თანდათან, შეუმჩნევლად დავკარგავთ საქართველოს, რომელიც მხოლოდ საზღვრებით შემოსაზღვრული ტერიტორია კი არ არის, არამედ უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის განძთსაცავია.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!
საუკეთესო სურვილებით -

**ვახტანგ ხარჩილავა**
მწერალი, „საერთო გაზეთის“
მთავარი რედაქტორი
ტელ: 593 44 04 01

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# პოლიტიკური ბალაგანი და ფაჩიკოს გარმონივით დაშლილი ოპოზიციური „ერთობა“

## გახსნის თუ არა ბიძინა ივანიშვილი არამზადების კეთილგონიერ პოლიტიკოსებად გადამზადების კურსებს?



ოპოზიციური „ერთობა“ არჩევნებამდე სამი თვით ადრე ფაჩიკოს გარმონივით დაიშალა.

დაშლას ვინ ჩივის — ისე დაერივნენ ერთმანეთს, ისე ძიძგნიან და კორტნიან ერთმანეთს, „ქართული ოცნება“ თუ არ ჩაუდგა შუაში და თუ არ გააშველა, შეიძლება არჩევნებამდე ვერც მიაღწიონ.

ვიცი, არჩევნების მეორე დღეს მაინც გამოყაყანდებით ქუჩაში — შედეგები გაგვიყალბეს, ხმები მოგვპარეს, თორემ ჩვენ ვიგებდითო,











იტყვით.

თქვენი ხმების გაყალბება ვის რაში სჭირდება, თქვე საბრალოები, ისედაც თავიდან ბოლომდე ყალბები ხართ, მთელი ცხოვრება სიცრუეზე, ტყუილებზე, ფარისევლობაზე, აფერისტობაზე, ვერაგობაზე ხართ დაგეშილები.

ეს ყველაფერი ერთხელაც სადღაც უნდა დამთავრდეს და ეს დროც ახლოვდება — 2020 წლის ოქტომბერი, ეგ არის თქვენი უბადრუკი არსებობის ფინალი, თქვენი ავაზაკობის დასასრული.

ბერწი და უნაყოფო აღმოჩნდა მთელი ოპოზიციური სპექტრი.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ახალი ვერაფერი შექმნა, გარდა პოლიტიკური ნაბუშრებისა.

**ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როცა ედუარდმა შვა „მოქკავშირი“, „მოქკავშირმა“ „ნაცმოძრაობა“, „ნაცმოძრაობამ“ „ევროპული საქართველო“, „გირჩი“, „ახალი საქართველო“, პარალელურად, ნათელაშვილმა შვა გუგავა, კუკავამ შვა წულაია.**

მაჭუტაძე, ბაჩუკი ქარდავა და პაატა დავითაია არავის არ უშვია. ისინი პოლიტიკური გარეორსუ-



ლობის შედეგად გაჩნდნენ საკეისრო კვეთით.

ასე გაჩნდა, ე.წ. ოპოზიციური მრავლისმთქმელი და მრავლისმიმანიშნებელი სახელწოდებით, „ძალა ერთობაშია“, თუმცა სულ მალე გაირკვა, რომ ძალა მხოლოდ იმ ერთობაშია, რომელიც საერთო იდეებს, საერთო კონცეფციებს და ღირებულებებს ეფუძნება და არა ძალაუფლების ხელში ჩაგდების მანიაკალურ ინსტინქტებს.

თვალთმაქცობაა „ნაცმოძრაობისგან“ გამოყოფილ „ევროპულ საქართველოს“ ან „ახალ საქართველოს“ რომ დაარქმევ „ახალ“ ორგანიზაციას და თავს ისე გვაჩვენებ, თითქოს „ნაცმოძრაობასთან“ არც არასდროს გქონია არანაირი კავშირი და არც ახლა გაქვს.

სხვა სახელის დარქმევა რას გიშველის, როცა ბოკერია ხარ, როცა ბაქრაძე ხარ, როცა გიორგი ვაშაძე ხარ და ეს „ნაცმოძრაობა“ ლამის აგურ-აგურ შენს მიერაა აშენებული?

ეს გიორგი ვაშაძე სხვებთან შედარებით ცოტათი უფრო ჭკვიანი გვეგონა — სტრატეგია „აღმაშენებელიო“, ეს ახალი გეგმები და ახალი პროექტებიო, იმდენი იძახა, ვიღაც-ვიღაცებმა დაიჯერეს, ამან შეიძლება მართლა გაამართლოსო, მაგრამ ბოლოს ისეთი სვლა გააკეთა, ყველაფერი წყალში ჩაყარა.

ქვეყნის აშენებას რომ გვპირდება და მთავარ „პრარაბად“ თაკო ჩარკვიანს რომ მოიწვევს, იმ კაცს რა უნდა ელაპარაკო?

ერთი ეგ ვაშაძეა აღმაშენებელი, ჩარკვიანის ქალი კიდევ თამარ დედოფალი და ეგენი რომ სოფელს ააშენებენ, იმ სოფლის ნახვას მოვესწრო და მეტი არაფერი მინდა...

კარგად არ გცნობიათ თქვენ, ჩარკვიანის ქალი, ბატონო გიორგი — ეგ ახლაა რომ იძახის ჯერ ვაშაძე და მერე მეო, თორემ ცოტა ხანში ჯერ მე და მერე ვაშაძეო, იტყვის და ზედ იმასაც დააყოლებს — ამ დივანს აქანე დავდგამ, ამ „სტენკას“ კიდო იქინეო.

არის კიდევ ერთი განსაკუთრებული პერსონა ოპოზიციურ სპექტრში, რომელიც დაჟინებით ამტკიცებს, რომ საქართველოში ნომერ პირველი პოლიტიკოსია.

— ვიცი ეს პოლიტიკა და რა ვქნაო, — „თავმდაბლურად“ განაცხადა ამასწინათ ამ პერსონამ, თუმცა ის არ განუმარტავს, თუ



პოლიტიკა ასე კარგად იცის და ნომერ პირველი პოლიტიკოსიც არის, სულ ბოლო ადგილზე რატომ მიჩანჩალებს ხოლმე?

„ნომერ პირველი პოლიტიკოსი“ გულდაგულ მალავს, რომ ისიც ედუარდმა შვა „მოქკავშირთან“ ერთად, თუმცა „ბურჯანაძის გოგომ“ მალევე მუხანათურად უღალატა „მშობელს“ და თავის მხრივ, ორჯერ „ლევად“ „შვა“ პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილი.

ამ დიდ დამსახურებას კი ისიც დააყოლა ზედ, რომ სწორედ მისი პარლამენტის თავმჯდომარეობის დროს ამოგვიფხიკეს ქართველებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებიდან მამის სახელი და ეროვნულობის აღმნიშვნელო გრაფა.

ასეთი „დიდი დამსახურების“ პოლიტიკოსი კიდევ ერთხელ რომ არ ავირჩიოთ პარლამენტში, ცოდვის კითხვა არ იქნება?

გვყავს კიდევ ორი „დიდი“ პოლიტიკოსი, რომელთა გამოტოვება და მოუხსენიებლობა არაფრით არ შეიძლება.

ეს ორი, მიუხედავად იმისა, რომ ერთი სქელია, მეორე გამხდარი, ერთი მთიდან არის, მეორე ბარიდან, მაინც ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.

პირველი, რაც მათ ერთმანეთთან ამსგავსებთ, ის გახლავთ, რომ ორივე სულმდაბლობის, უთავმოყვარეობის, უტიფრობის, ცოცხალ მაგალითებად იქცნენ.

პოლიტიკა დაუნდობელი, სასტიკი და ულმობელი პროფესიაა და თუ ძალიან ფხიზლად არ იქნები, შეიძლება ისე გაგანადგუროს, რომ შენგან ადამიანურობის ნიშანწყალი არ დატოვოს.

ეს ორიც ვერ ხვდება, რა უქნა მათ ზედმეტმა პატივმოყვარეობამ, გადაჭარბებულმა ამბიციებმა, ეგოიზმმა, ვერცხლისმოყვარეობამ.

ისინი ვერ ხვდებიან და ვერ გრძნობენ, ნაბიჯ-ნაბიჯ, შეუმჩნევლად, თანდათანობით როგორ ჩამოყალიბდნენ და როგორ იქცნენ



საკუთარი ქვეყნის საშიშ და სახიფათო მტრებად.

მათი მთავარი ამოცანა, მთავარი მიზანი ბიძინა ივანიშვილის დამხობაა თურმე, მაგრამ სიძულვილით და ბოღმით დაბრმავებულები იმას ვერ აცნობიერებენ, რომ ივანიშვილის დამხობით შეიძლება საქართველოც დაემხოს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამაზე არც წუხან.

ერთმა თავისი ქვეყნის „სტუკაჩის“ და ჩამშვების შტატზე თითქოს ოფიციალურად მუშაობს და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყველგან გვასმენს, მეორე (გუბაზი-ვ.ხ.) საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მიხეილ სააკაშვილის დანიშვნას მოითხოვს.

**გუბაზ სანიკიძევ, ლევან სანიკიძის 310-ე სირცხვილო და თავისმოჭრავ, ნუთუ იმდენს ვერ ხვდები, რომ სააკაშვილს საქართველოში დაბრუნება და, მით უმეტეს, გაპრემიერმინისტრება, ავტომატურად ნიშნავს სამოქალაქო ომს, ათასობით მსხვერპლს, სისხლის ტბებს, დანგრეულ და დაქცეულ ქვეყანას, ნაწილ-ნაწილ დაშლილ ქართულ სახელმწიფოს.**

**გუბაზ სანიკიძე ხარ შენ თუ გუბაზ პუტინი, ან გუბაზ დუგინი, ქართული სახელმწიფოს დაშლის გეგმას ასე ღიად და დაუფარავად რომ ახმოვანებ?**

●

2012 წელს „ქართულმა ოცნებამ“ მრავალი მიმართულებით უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა გადმოიბარა, თუმცა ამ უმძიმესი მემკვიდრეობიდან ყველაზე მძიმე, ყველაზე ტრაგიკული და დრამატული მაინც ის პოლიტიკური სპექტრი იყო, რაც „ქართულ ოცნებას“ პოლიტიკურ ასპარეზზე დახვდა.

90-იანი წლების ნანგრევებზე აღმოცენებული პოლიტიკოსთა ახალი კლასი, რომელთა უმრავლესობას პოლიტიკური მეცნიერება რუსთაველის მეტროდან თავისუფლების მოედნამდე ხეტიალში და გაუმარ-ჯოს გაუმარ-ჯოს ძახილში ჰქონდა ნასწავლი, აწ უკვე დემოკრატებად გადაღებილი და დემოკრატიაში გადმოპორტირებული კომკავშირული და პარტიული ნომენკლატურა, ჩვეულებრივი ავტომატიანი ყაჩაღები, რომლებმაც ავტომატები გადაყარეს, ყელზე ჰალსტუხები ჩამოიკიდეს და პოლიტიკოსებად მოინათლნენ, ხაზინის ქურდები, კომბინატორები, კორუმპირებულები, რომლებსაც პოლიტიკოსობა და პოლიტიკოსის მანდატი ხელშეუხებლობის გარანტად სჭირდებოდათ დაბოლოს, ყოველივე ამის გვირგვინი — “ნაცმოძრაობა“, თავისი ფაშისტურ-კრიმინალური პოლიტზონდერებით — აი, ის პოლიტიკური „ბუკეტი“, რომელიც, „ქართულ ოცნებას“ 2012 წლის ოქტომბერში დახვდა და რომელთანაც უწევს მას ურთიერთობა აგერ უკვე რვა წელიწადია.

რა ჰქნას ასეთ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილმა — არამზადების კეთილგონიერ პოლიტიკოსებად გადამზადების კურსებს ხომ არ გახსნის და რომც გახსნას, გაამართლებს კი არამზადების გადამზადების იდეა?

ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ ისევ ქართველმა ხალხმა უნდა მოუხმოს გონიერებას და ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური ველი სარეველებისგან გაწმინდოს.

**ვახტანგ ხარჩილავა**

# არსებობს საშიშროება, ოპოზიციის ადგილი ძალიან საშიშმა, ბოროტმა, ბინძურმა ძალამ დაიკავოს

*გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:*

**— ქალბატონო ნანა, ვინ წყვეტს ვინ უნდა გაიმარჯვოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში? ოპოზიცია უკვე პრემიერ-მინისტრის კანდიდატურებს განიხილავს. ქართველ ხალხს არავინ ეკითხება გვინდა კი „ნაცების“ ხელისუფლებაში დაბრუნება?**

— სურათი შემდეგნაირად გამოიყურება — ერთი მხრივ, ამერიკის ლიბერალური ფრთა ლიბერალებს ლობირებს, რომელთაც „ნაცმოძრაობასთან“ მჭიდრო ურთიერთობა აქვთ. „ნაციონალებში“ მხოლოდ მათ არ ვგულისხმობ, არამედ მის ანასხლეტებს — „ევროპულ საქართველოს“ და ა.შ. საერთოდ, ბოროტება ყოველთვის უფრო აქტიურია, ვიდრე სიკეთე. სიკეთე პასიურია. ამიტომ, შეიძლება ლიბერალური ფრთა მცირერიცხოვანია, მაგრამ საკმაოდ აქტიური და ბოროტების კეთებაში ეფექტური. ამიტომაც, ჩანან ასპარეზზე. ამერიკის წინა არჩევნებმა აჩვენა: მიუხედავად იმისა, რომ კონსერვატორი ანუ, ტრამპის ამომრჩეველი პასიური იყო, შედეგი ასეთი დადგა — მან გაიმარჯვა და ლიბერალები უმცირესობაში აღმოჩდნენ. ამერიკაში ნოემბრის არჩევნებშიც ის მშვიდი, გაწონასწორებული, ღირებულებებზე ორიენტიეებული ძალა გაიმარჯვებს, რომელიც დღეს უმრავლესობაშია და არა ის, რომელიც ასეთი აქტიური და აგრესიულია, მაგრამ უმცირესობაში გახლავთ. ამ ძალის მხრიდან ჩვენი ოპოზიციის მხარდაჭერა, ვფიქრობ, წაგებული თამაშია. „ნაციონალები“ ხელისუფლებაში ვერასდროს დაბრუნდებიან, თუმცა ეს დამშვიდების საფუძველს ნამდვილად არ იძლევა. იმიტომ, რომ ქართულ პოლიტიკაში ჯერ კიდევ გაურკვეველი, გამოუკვეთავია ვის ხელში აღმოჩნდება საბოლოოდ ძალაუფლება, თუნდაც, 2024 წელს. თუ ჩვენ ვამბობთ, რომ ლიბერალური ძალა წააგებს და ეს 100%-ით ასეა, ჩნდება კითხვა: ვინ იქნება ოპოზიციაში? მათ 2024 წელს, შესაძლოა, ხელისუფლებაში მოსვლის შანსი ჰქონდეს. აი, ეს იქნება ყველაზე საშიში ძალა დღეს ქვეყნისთვის. იმიტომ, რომ ის ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი რომელიც დღეს გვყავს, აბსოლუტურად, ჩასარეცხი და უარსაყოფია. მათი ხელისუფლებაში მოსვლა ქვეყნისთვის დამღუპველი, დამაქცეველია. ისინი არავითარ შემთხვევაში არ უნდა წარმოჩინდნენ უფრო ძლიერად, ვიდრე დღეს არიან. თუ ვსაუბრობთ, მესამე, განსხვავებულ ძალაზე, რომელსაც ქართველი ხალხი ელოდებოდა, დღეს მსგავსი არაფერი ჩანს. მესამე ძალად ვერ ჩაითვლება ვერც „ლელო“ და ვერც სხვა რომელიმე. ჩვენ, კარგად ვიცით ვინც არიან ისინი სინამდვილეში. ეს პარტია ქართულ საზოგადოებას არ უნდა. მათ ქართველი ხალხის მხარდაჭერა არ აქვთ. აი, ეს მოცემულობა გვაქვს. თუკი აღმოჩნდება, რომ „ნაცმოძრაობის“ ნაცვლად დღეს ოპოზიციაში სხვა ძალა უფრო ჭარბად იქნება წარმოდგენილი, ეს ქართული საზოგადოებისთვის კიდევ უფრო მეტად საშიში შეიძლება იყოს, ვიდრე თვით „ნაცმოძრაობა“. იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობის“ მიმართ ქართველ ხალხს უკვე სერიოზული აცრა აქვს გაკეთებული. იციან, რომ ეს ვირუსი ადამიანს არ შეიძლება შეეყაროს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რათა ამ ვირუსით აღარასდროს დავსნებოვდეთ. ქართველი ამომრჩეველი აცრილია. მაგრამ მათზე ვისაც ჩვენ, შეფარვით გვაპარებენ და შესაძლოა 2024 წელს ხელისუფლებაშიც აღმოჩდნენ, იმუნიტეტი გამომუშავებული არ გვაქვს. შეიძლება, უცებ, აღმოჩნდეს, რომ ქვეყნის ხელისუფლებაში მოსვლის პერსპექტივა „ნაცმოძრაობაზე“ უფრო საშიშ ძალას გააჩნია. ამ მიმართულებით, დღეს, არავინ მუშაობს. სამწუხაროდ, ეს საკითხი კიდევ უფრო სერიოზულია, ვიდრე თავად „ნაცმოძრაობა“. დიახ, „ნაცები“ ქართული პოლიტიკის გუშინდელი დღეა, რაც აღარასდროს განმეორდება. ასევე, ველარასდროს მოიკიდებს ფეხს ლიბერალური ფრთა. იგი, ტრამპის არჩევნებთან ერთად ჩაირეცხება და შეიძლება, ორპარტიული არჩევნების ნაცვლად, რაც ამერიკაში ტრადიციად იქცა, აბსოლუტურად, სხვა მოცემულობა, სხვა რეალობა ვიხილოთ — უფრო მრავალპარტიული, პოლიტიკაში პლურალური გარემო და ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალოს. თუმცა, როგორ აისახება საქართველოზე ეს ყოველივე, არ ვიცით. არსებობს საშიშროება, ოპოზიციის რიგები ძალიან საშიშმა, ბოროტმა, ბინძურმა ძალამ დაიკავოს. დიახ, შესაძლოა 2020 წლის არჩევნების შედეგად სწორედ ასეთი ოპოზიცია მივიღოთ იმიტომ, რომ რეალურად პოლიტიკურ არენაზე საქართველოზე, ქართველი ხალხის ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალა არ არსებობს.






**— ვის გულისხმობთ ამ საშიშ ძალაში და რა საფრთხეების შემცველია ყოველივე?**

— იცით რა არის, შესაძლოა შეიქმნას, მაგალითად, სისტემისა და ორიენტაციის პრობლემა. აქ, არ ვგულისხმობ პრო-დასავლური და პრო-რუსული იარლიყების მიწებებას. ადამიანი შეიძლება სხვადასხვაგვარად ფიქრობდეს — ზოგს ქვეყნის გადამრჩენად რუსეთი მიაჩნდეს, ზოგსაც — დასავლეთი. ეს ქვეყნის მიმართ ადამიანის პირადი აზრი, შეხედულებაა. არცერთი მოსაზრება ქვეყნისთვის საშიში არ არის. ქვეყნისთვის საშიში ის ადამიანები არიან, რომლებიც სხვა ქვეყნის აგენტურას წარმოადგენენ და საქართველოში სწორედ სპეცსამსახურების დავალებების შემსრულებლნი არიან. სამწუხაროდ, მათ, არც რუსული ორიენტაცია აქვთ და არც დასავლური. ისინი აგენტები არიან. მათი გაშიფვრაა საჭირო. ჩვენ, ე.წ. ოპოზიციური სპექტრი ანუ, „ნაცმოძრაობა“ და მისი ანასხლეტები უკვე გავშიფრეთ. ვიცით, ისინი, რა აგენტურასაც წარმოადგენენ. ახლა, გასაშიფრია ის გარემოცვა, რომელიც დღევანდელი ხელისუფლების ირგვლივ ტრიალებს. გასარკვევია, ვინ არიან ისინი, ვის სამსახურში და ვის დავალებებს ასრულებენ. აი, ეს არის ყველაზე სერიოზული პრობლემა, რაზეც არავინ ფიქრობს.

**— რა არჩევანის წინაშე დგას საზოგადოება?**

— ქართველი ხალხი გააკეთებს არჩევანს და „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, ეს ცალსახაა. ასევე, ის ოპოზიციური ნაწილიც, რომელიც ამ პარტიას სურს რომ პარლამენტში იყოს წარმოდგენილი. შეიძლება, იქ, „ნაცმოძრაობის“ ანასხლეტებიც მოხვდნენ, მაგრამ ეს ისეთი ნომინალური იქნება, ამინდს ვერ შექმნიან. მაგრამ დანარჩენები ვინ შევლენ პარლამენტში და ამ ქვეყანაში ვისი გავლენების აგენტები, ვისი დაკვეთების შემსრულებლნი იქნებიან, ეს ძალიან მნიშვნელოვანი და საშიშია რადგან არ ვიცით ვის დაკვეთებს ასრულებენ და ვინ არიან. ვიმეორებ, თუ ჩვენ ვიცით რას წარმოადგენს „ნაცმოძრაობა“, არ ვიცით ვინ არის ის ხალხი ვინც 2020 წლის ოქტომბერში პარლამენტში მოხვდება. ერთიდაიგივე გადათამაშებულ ადამიანებს, რომლებიც ხელისუფლებაშიც იყვნენ, ოპოზიციაშიც, სხვადასხვა თანამდებობებზეც და ა.შ., ახალ სახეებს უწოდებენ. ეს ადამიანები არიან დღეს გადათამაშებულ-გადმოთამაშებულები. ისევ იგივეს გვთავაზობენ. კერძოდ, ამ ადამიანების მიერ გამოყვანილ თავიანთ აგენტებს ექსპერტების თუ სხვა სახით, რომელთაც პულტით მართავენ. დღევანდელ პოლიტიკაში მხოლოდ პულტით მართული ადამიანები სჭირდებათ. აი ეს არის მთავარი პრობლემა. ამ ხალხს არც არასდროს უბრძოლია ამ ქვეყნისთვის, ან თუ იბრძოდნენ, მაშინაც აგენტებად იყვნენ შეგზავნილნი იქნებოდა ეს „ეროვნულ მოძრაობაში“ თუ სხვა სიტუაციაში.



**— ოპოზიციას სურს, რომ ხელისუფლებამ დამოუკიდებლად მთავრობის დაკომპლექტება ვერ შეძლოს და აუცილებლად კოალიციური მთავრობა უნდა შეიქმნას. რამდენად საფრთხის შემცველია ყოველივე?**

— ასეთი მთავრობა ძალიან სერიოზული საფრთხეა იმ შემთხვევაში თუ ეს მართლაც კოალიციური იქნება და არა დანიშნული. საერთოდ, პროპორციული სისტემა ქვეყნის ინტერესებისთვის, საკმაოდ, სახიფათოა. ეს, პირდაპირ, ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებაა, რაც პარლამენტმა მიიღო და კიდევ უფრო საშინელებაა, რომ 2024 წლისთვის არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით უნდა ჩატარდეს. ეს ქვეყნისთვის სახიფათო მოვლენაა. იმიტომ, რომ თვალს თუ გადავავლებთ, მთელს მსოფლიოში ნებისმიერი კოალიციური მთავრობა ძალიან სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. ავიღოთ, ისრაელის მაგალითი. იქ, კოალიციური მთავრობიდან რომელიმე პარტია თუ გაიბუტა და გაემიჯნა, მთავრობიდან გამოვიდა, შედეგად, მთავრობა იშლება და ეს ქვეყნები, მუდმივად, საარჩევნო რეჟიმში იმყოფებიან. მათ, მუდმივად, არ ჰყავთ მთავრობა და მიდის ბიუჯეტის ყვლეფა. ჩატარდება არჩევნები და მერე კოალიციური მთავრობა ისევ იშლება. საარჩევნო რეჟიმის გარეშე წელიწადი არ არსებობს. ასეთი სიტუაცია საქართველოს დაანგრევს. სხვა სახელმწიფოებზე, შესაძლოა ეს ისე კატასტროფულად არ აისახება, მაგრამ საქართველოს მთლიანად დაშლის. როგორ შეიძლებოდა ამ ნაბიჯის გადადგმა და ვიღაცისთვის კოჭის გაგორება. ეს არის ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული მავნებლობა. პერსპექტივაც არ არის, ხელისუფლებაში ისეთი ხალხი მოვიდეს, რომ ეს შეცვალოს. სად წერია, რომ პროპორციული არჩევნები უფრო ნაკლებად ყალბდება. ეს რომ ასე იყოს, მაშინ მთელი მსოფლიო პროპორციულ არჩევნებზე იქნება გადასული. რომელ სახელმძღვანელოში ამოიკითხეს, რომ პროპორციული არჩევნები უფრო დემოკრატიულია, ან უფრო დაცულია გაყალბებებისგან, ან უფრო მეტ შანს იძლევა ოპოზიციისთვის. სადმე წერია ასეთი რამ? — არსად. ეს, ასე არ არის. ეს არის მხოლოდ ტყუილი, რომელიც

6 გვ. →

# დღეს ქუჩას და უბანს „კანონიერი ქურდები“ კი არა „ბესპრედელშჩიკები“ მართავენ

## სახეზე გვაქვს ორგანიზებულ-დანაშაულებრივი საზოგადოების კლასიკური მაგალითი – კოლექტიური ნაცები, ანუ ადგილობრივი „ბესპრედელშჩიკები“



დავით გაგნიძე

იმდენი დანაშაული, რაც დღეს ხდება შევარდნაძის მმართველობისაც კი არ ხდებოდა, „მოთქვამს“ ნაცდეპუტატი, ნაპროკურორალ ნაადვოკატარი ოთარ კახიძე. ამ პერსონას, რომლის ძირითად ფუნქციას გენპროკურატურაში „მოღვაწეობისას“, თურმე ზურაბ ადეიშვილის „პირისფარეშობა“ წარმოადგენდა, რატომღაც ავიწყდება, რომ ყველა უბედურების შემოქმედი სწორედ მისი მშობლიური პარტიაა, რომელიც სხვადასხვა სახელს ამოფარებული, ლამის 1995 წლიდან მოყოლებული ანგრევს და აჩანაგებს საქართველოს. საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილი თანხმდება, რომ დღემდე გრძელდება პროცესი, რასაც



თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „ბესპრედელშჩინა“. პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი დავით გაგნიძე, რომელიც 80-იანი წლების დამდეგიდან მუშაობდა სამართალდამცავ სისტემაში, ჩვენთან ინტერვიუში არაერთხელ უთქვამს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, „კაგებეს“ (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი) ე.წ. ლიბერალური ფრთის მიერ შექმნილ-ჩამოყალიბებულმა ე.წ. პოლიტიკოსებმა, ბანკირებმა და ბიზნესმენებმა, სინამდვილეში კი „ბესპრედელშჩიკებმა“ ჩაიგდეს ხელში სახელმწიფო მართვის სადავეები. ამიტომაცაა 30 წელი მოჯადოებულ წრეზე რომ დავდივართო. იმის გამო, რომ სამწუხაროდ თემას აქტუალობა არ დაუკარგავს, გადავწყვიტეთ კიდევ ერთხელ განვსაჯოთ ის სავალალო ვითარება, რაც ე.წ. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ სუფევს ქვეყანაში და ვერაფრით დავაღწიეთ თავი.

გერმანიის პოლიციისა და სპეცსამსახურების შემქმნელ, ადვოკატ ჰელმუტ შტიბერს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში აქვს ნათქვამი, რომ „კრიმინალის მოსპობა შეუძლებელია, დანაშაული იყო, არის და იქნება. აუცილებელია კრიმინალური სამყაროს კონტროლი. ამისათვის კი ერთადერთი გზა არსებობს — ჩვენი კონტროლის ქვეშ უნდა მოექცეს კრიმინალური ელიტა“. დავით გაგნიძის განცხადებით, სწორედ საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების მიერ კონტროლირებადი „შავი სამყაროს“ ელიტის წარმომადგენლები წავიდნენ საქართველოდან, რადგან მათ მაინც თავიანთი ე.წ. კანონები ჰქონდათ, კალიებივით ვერ მოედებოდნენ და ასე აღვირახსნილად ვერ აწამებდნენ ერის მნიშვნელოვან ნაწილს, რასაც შემდგომ „ბესპრედელშჩიკები“ აკეთებდნენ. ამ „შპანას“ (პირდაპირი თარგმანით ვიგინდარები — მ.ს.) დარჩა ქუჩაც და სახელისუფლებო ბერკეტების ნაწილიც კი. თავადაც არაერთხელ მომისმენია, როგორც სამართალდამცავებისგან, ისე საზოგადოების სხვა წარმომადგენლებისგან, რომ ნამდვილი „კანონიერი ქურდი“ არასოდეს გაქურდავდა თავის მეზობელსა და უბნელს, არც ვინმე გაჭირვებულს და ფულისა თუ ძვირფასეულობის გამოძალვის მიზნით, ცხელი უთოთი არ აწამებდა. ამის გამკეთებელს, თავადვე სჯიდნენ „შავი სამყაროს“ ავტორიტეტები. მათ არც ქცევის წესები ეშლებოდათ და ინტელიგენტის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. ადრეული პერიოდის ქურდს არ უნდა ჰქონოდა საკუთარი სახლი თუ ბინა, საერთოდ, ქონება, არც ცოლშვილი ყავდათ. მერე, როცა „კანონიერი ქურდის“ სტატუსი ვაჭრობის საგანი გახდა და ცხვირმოუხოცავი ლაწირაკებიც კი „ყიდულობდნენ“ გარკვეული თანხის ფასად, რა თქმა უნდა ეს ე.წ. დათქმებიც მოიშალა, მაგრამ „ბესპრედელშჩიკებთან“ შედარებით, მაინც ასე ვთქვათ, დადებით ინსტიტუტად ითვლებოდა. დღეს ვიღაც უჩინარი მართავს უბანსაც და „შპანასაც“, ეს ნამდვილად არ არის „კანონიერი ქურდი“, რაც ძალზე საშიშიაო, აცხადებენ კომპეტენტური წყაროები.

**დავით გაგნიძე**: ადრეც მითქვამს, რომ „კანონიერ ქურდებს“ თავიანთი დაუწერელი კანონები და „წითელი ხაზები“ აქვთ, რომელსაც ზედმეტად არ გადავლენ. საერთოდაც ნაცრეჟიმმა და მისმა წინამორბედებმა მოიცილეს უბნის ავტორიტეტები, ყველა ხომ „კანონიერი ქურდი“ არ იყო, უბრალოდ ავტორიტეტები იყვნენ. მიდიოდნენ მათთან უბანში ახალგაზრდები, ჭკუას ეკითხებოდნენ. მე რამდენიმე თემქელი ძველი ავტორიტეტი ვიცი, რომლებსაც შეეძლოთ „კანონიერი ქურდები“ გამხდარიყვნენ, მაგრამ არ გახდნენ, თუმცა ახალგაზრდობა დადიოდა მათთან. ერთს გეტყვით, ჰერბერტ უელსი რომ ჩამოვიდა რევოლუციის შემდგომ რუსეთში და ლენინს შეხვდა, ამის შემდეგ დაწერა მოთხრობა — „რუსეთი წყვდიადში“. უელსი იქ წერს, რუსეთი სწორად მიდის, მაგრამ ადამიანობა, ადამიანური გრძნობა არ აქვს გათვალისწინებულიო. „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტი ლენინმა და ძერჟინსკიმ შექმნეს, ახლა სტალინს რომ აბრალებენ. პირიქით 30-იანი წლებში სტალინმა 30.000 „კანონიერი ქურდი“ დაახვრეტინა იმის გამო, რომ სამუშაოდ არ გადიოდნენ.

გახსოვთ რამდენიმე წლის წინათ, არასრულწლოვნების მიერ მასობრივად რომ იქურდებოდა და იძარცვებოდა მაღაზიები და სხვა ობიექტები. მე მაშინვე გითხარით, რომ ეს სპონტანურად არ ხდებოდა, მაგ ბავშვებს ხელმძღვანელები ყავდათ და ისინი მართავდნენ. ვინაა ეს ე.წ. ხელმძღვანელობა?! რა თქმა უნდა „ბესპრედელშჩიკების“ რომელიღაც ჯგუფი. საქმე იმაშია, რომ 90-იანი წლების დასაწყისში ჯაბა იოსელიანი ხელისუფლების სათავეში რომ მოგვევლინა, ყველა „კანონიერი ქურდი“ გარეკა საქართველოდან, ამის შემდეგ დაიწყო ქვეყანაში „ბესპრედელშჩინა“. იოსელიანმა, ფაქტობრივად, ყველა მოიცილა, არადა თვითონაც კანონიერი ქურდი იყო. ყველაზე სასწაული კი ისაა, რომ ამ წარსულის მქონე ადამიანი ქვეყნის მეთაურის, ედუარდ შევარდნაძის მრჩეველიც კი იყო ოფიციალურად. რატომ გადაეკიდა ქურდულ სამყაროს ასე, დაზუსტებით ვერაფერს მოგახსენებთ. ერთ ისტორიას ყვებოდნენ, ჯაბა რუსეთის ციხეში რომ იჯდა, ერთი რუსი „კანონიერი ქურდი“ მაგაზე ხშირად ამბობდა, ეს ქურდი არ არის, ინტელიგენტიაო, რის გამოც ჯაბამ რამდენჯერმე სცემა, როგორ თუ არ ვარ ქურდიო. მერე (60-იანი წლების მიწურულს) მისი ასე ვთქვათ, შეწყალება მოხდა, საქართველოდან გაგზავნილი ვითომდა ინტელიგენციის წერილის საფუძველზე. არადა სინამდვილეში ამ წერილზე მხოლოდ ორ ადამიანს ჰქონდა ხელი მოწერილი, ჯაბა იოსელიანი ციხიდან რომ გამოეშვათ. დაკონკრეტება არ მინდა, ყველამ ისედაც იცის ვისაც ვგულისხმობ, მით უმეტეს, რომ არცერთი აღარაა ცოცხალი. მერე „მხედრიონი“ რომ შეიქმნა, რომელიც, როგორც ცნობილია, ზაზა ვეფხვაძემ, ზაზა სვანაძემ, გრუ-ს კაპიტანმა, „რუსთაველმა“, მერე ვითომ ბიზნესმენმა თემურ მასხულიამ და პაატა ჩლაიძემ ჩამოაყალიბეს, მათ ამ გავლენიანმა ხელოვან-ინტელიგენტმა მიუყვანა თურმე ჯაბა იოსელიანი, თქვენი შეფი ეს კაცი უნდა იყოსო. აარჩევინეს „მხედრიონის“ ხელმძღვანელად იოსელიანი, ეს დამფუძნებლები კი მოიშორეს.

**— ბატონო დავით, ე.ი „არჩევნები“ შემდეგ დახოცეს სვანაძე და ვეფხვაძე, ჯაბას რა როლი მიუძღვოდა ამ მკვლელობაში?**

— დიახ, ქობულეთის ქუჩაზე ჩაცხრილეს, 20 წუთში მივედი შემთხვევის ადგილზე, სულ ყველა „დაბრიდეს“. დღეს „ვერის საძმოს“ წევრები მილიონერები არიან და ჟორიკა რურუას გულისთვის ლამის ვენებს იჭრიან კოლექტიური ნაცები და მათი „ასკოლკები“ მედია-ინტელიგენციის სახით. რას ჰქვია, ჟორიკა ტელევიზიის მფლობელი გახლავთ. სად გაქრა დიმიტრი რამიშვილი, იგივე პატარა „ზარალა“, დიდი „ზარალას“ ბიძაშვილი, სუპერმარკეტების ქსელი რომ ჰქონდა და ათ წელზე მეტია აღარ ჩანს. ქართული ფეხბურთი მოკლა და გაქრა. არც დანარჩენებს დაუკლიათ ხელი. ვერის საძმო, იგივე „ბოროტები“, ეს ფურუნკული უკვე ჩამოყალიბებული იყო და წყნეთში თოფჩიშვილის მკვლელობის შემდეგ (1987 წელი), საბოლოოდ შეიკრა. ლერი სულაბერიძის მეუღლის გამო, თითქოს რაღაც ისე შეხედა, მოკლეს თოფჩიშვილი. ლერი სულაბერიძე ის გახლავთ, ახლა თურმე ცეცხლი რომ გაუხსნეს და ერთი ტყვია რომ ვერ მოარტყეს. ამ სულაბერიძემ ერთი ჩამოწერილი „ვოლგის“ ფასად, 1500 დოლარად იყიდა თბილისის „დინამო“. ან კიდევ სხვა ამათი „ძმა“, „ტილიკა“ კაჭარავა აიღეთ, დღეს თბილისის „წყალკანალის“ შეფია, მაგათ ხელშია ყველაფერი. ესენი არიან ელცინის რუსეთის დანატოვარი ხალხი, რომლებსაც დღეს პუტინის რუსეთთან აღარ უნდათ, იმიტომ, რომ მილიარდელები გახდნენ.



ზუსტად ესენი ცდილობენ, რომ არ დალაგდეს საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობა, რადგან იციან ვლადიმერ პუტინი მთლიანად „ააზევს“ მაგ საეჭვო გზებით ნაშოვნ ქონებას, როგორც რუსეთში „აახია“ ამათ მსგავს ბიზნესმენებს, მაგალითად ხადარკოვსკის. ეს ბატონი მარტო კი არ გააკულაკეს, 14 წლით ციხეშიც გამოამწყვდიეს, რადგან მან პოლიტიკაში ცხვირი ჩაყო. ამათაც ხომ ჩაყვეს ცხვირი პოლიტიკაში და ამათაც იგივეს გაუკეთებს. ამიტომაც არ უნდათ რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება, ყველაფერს დაკარგავენ ეს ჰალსტუხიანი ყაჩაღები ახლა ვითომ ჩვენს პატრიოტიზმზე თამაშობენ, თვითონ კი ისევ ფულის კეთებაში არიან.

როგორც გითხარით, ჩვენთან კრიმინალები ორ ჯგუფად იყოფიან, ჩამოყალიბებული კრიმინალები და ე.წ. „ბეზპრედელშჩიკები“. სწორედ ამ „ბეზპრედელშჩიკებით“ იყო და არის უმეტესწილად დაკომპლექტებული ნაცმოძრაობა, უფრო ზუსტად ნაცბანდა. ადრეც მითქვამს, შსს-ში მუშაობის დროს, სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, არქივიდან მე-20 საუკუნის მიწურულს შექმნილი დამუშავების საქმე ამოვიღე. სერიოზული პროფესიონალის ნამუშევარი იყო, რომელსაც ბოლო ფურცელზე ხელით ჰქონდა მიწერილი, „ბესპრედელშჩიკებს“ სურთ ძველი თანამშრომლები გაგვყარონ სისტემიდან, თვითონ კი ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში შეძვრნენ და ცხოვრება მოიწყონ, ესენი აშკარად დაღუპავენ ქვეყანასო. სამწუხაროდ, ამ ჭკვიანი კაცის წინასწარმეტყველება ახდა. გიგი უგულავა, ჟორიკა რურუა, მაგის აწ გარდაცვლილი ძმა, ვერის საძმო, ნუცუბიძის საძმო, კულინარიელები, შევარდნაძემ ერთხელ თქვა კიდეც, ვინ არიან ეს მზარეულები თუ ვიღაცებიო, კიდევ სხვა ე.წ. საძმოები, ყველა „ბესპრედელშჩიკებს“ განეკუთვნებოდნენ, მერე პოლიტიკოსებად და ბიზნესმენებად რომ მოგვევლინნენ. ამათ პარალელურ რეჟიმში მოკლეს ქვეყნის უშიშროების სამსახური, პოლიცია და პროკურატურა. ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ასე გააკეთა ელცინის რუსეთმა, კერძოდ, ლიბერასტების ფრთამ. პუტინის რუსეთი რატომ არ ცდილობს აღორძინებას არ ვიცი, თუმცა იმდენი სანქციები

6 გვ. →



# არსებობს საშიშროება, ოპოზიციის ადგილი ძალიან საშიშმა, ბოროტმა, ბინძურმა ძალამ დაიკავოს

4 გვ.

ორივეს აწყობდა — ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც. ოპოზიციას აწყობდა, რადგან მათ ხომ ქვეყანა არ ენაღვლებათ. მთავარია, ხელისუფლებაში მოხვედრის შანსი დაინახონ, თორემ, ქვეყანას რა მოუვა, არ აინტერესებთ. ისინი ხედავენ შანს: 1%-იანი ბარიერით პარლამენტში მოხვდნენ. ეს არის ამ გამყიდველი და ნაძირალა ოპოზიციისთვის ამოსავალი წერტილი და არა ქვეყანა.

**— ხომ არ არის საფრთხე ხელახალი არჩევნების ჩატარების საკითხი დადგეს?**

— თუ კოალიციური მთავრობა შედგა და მასში აღმოჩდნენ „ნაციონალები“ და მათი ანასხლეტები, რა თქმა უნდა, ეს საფრთხე არსებობს. ვერ ხედავთ რომ პარლამენტში, ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ, ნებისმიერ საკვანძო საკითხს ბლოკავენ. მთავრობას არ დაბლოკავენ?! როდესაც ამ გადაწყვეტილებას უმრავლესობა მხარს უჭერს, რით არის იგი უმცირესობაზე უკეთესი?! პრაქტიკა ხომ აჩვენებს, რომ ეს ადამიანები პარლამენტში ხელფასს, აბსოლუტურად, უსაფუძვლოდ ღებულობენ. ისინი სხდომების 90%-ს არ ესწრებიან და ბოიკოტის რეჟიმში არიან. შე დალოცვილო, თუკი თვლი, რომ პარლამენტი ბოიკოტისთვის ბრძოლის ორგანოა, მაშინ წადი და ქუჩიდან იბრძოლე. რისთვის შედიან პარლამენტში?! ვიმეორებ, სხდომების 90% ბოიკოტირებული აქვთ. მაშინ რა უნდათ პარლამენტში, გავიდნენ ქუჩაში და იქედან იბრძოლონ. რა უნდათ და ძალაუფლება, ფული, მდგომარეობა, მაგრამ არცერთს არ უნდა ნორმალურ ქვეყანაში ცხოვრება იმიტომ, რომ მათი სპეცსამსახურების მიზანი ეს არ არის. მათი მიზანია ამ სპეცსამსახურების ინტერესების გატარება.

**— ამ დროს, დასავლეთიდან გვიკიჟინებენ: სამართლიანი არჩევნები ჩავატაროთ, მაგრამ თუ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს ლეგიტიმურობის საკითხი ეჭვქვეშ დადგებაო.**

— ეს ვერ მოხდება. ლეგიტიმაციის საკითხს ქართველი ხალხი წყვეტს. თუ ქართველი ხალხი ქუჩაში არ გამოვა და არ იტყვის, რომ ეს არჩევნები გაყალბდა, დასავლეთი ხმას ვერ ამოიღებს. „ნაცმოძრაობის“ და ამ ოპოზიციური სპექტრის გამო, ქუჩაში არავინ გამოვა. ისინი ჯამში 20%-საც ვერ აგროვებენ. მათ გამო რომ ქუჩაში არავინ გამოვა, ეს ცალსახაა. ანუ ხელისუფლებამ სულ თავზე რომ დაიმხოს არჩევნები, მისი არალეგიტიმურად ცნობა დასავლეთს კი არა ეშმაკსაც გაუჭირდება. ქართველი ხალხი ოპოზიციის მხარდასაჭერად გარეთ არ გამოვა. ანუ, გარანტირებულია, რომ არჩევნები შედგება და „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, მაგრამ მერე, რა იქნება ეს დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

**— აშკარაა, რომ „ნაცები“ არა არჩევნებისთვის, არამედ არჩევნების მეორე დღისთვის ემზადებიან.**

— ეს არ არის საფრთხე, ემზადონ. ისინი პარლამენტის ასაღებადაც მზად იყვნენ, მაგრამ ვერ აიღეს იმიტომ, რომ ხალხი ვერ გამოიყვანეს. იმიტომ კი არა რომ პოლიცია სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა, ხალხის ის რაოდენობა არ იყო, რომელიც მათ პარლამენტში შეჭრას ლეგიტიმურობას მისცემდა. ეს არ იყო 2003 წელი. მოიხედეს და ქუჩაში ორი კაცი იდგა, მიხვდნენ, რომ პარლამენტში შეჭრას აზრი არ ჰქონდა. ასე იქნება ახლაც – „ნაცმოძრაობის“ პროტესტს ხალხის სახით ძალა და საყრდენი არ ექნება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# დღეს ქუჩას და უბანს „კანონიერი ქურდები“ კი არა „ბესპრედელშჩიკები“ მართავენ

5 გვ.

ადევს რუსეთს, ეტყობა ამისთვის ვერ იცლის. აგერ თვითონს აშშ-ის პრესიდენტ ტრამპს რამხელა წინააღმდეგობა აქვს ლიბერალებისგან. დავუბრუნდეთ, ადგილობრივ „ბესპრედელშჩიკებს“, აქ ძირითადად ვერის საძმო ქმნიდა ქვეყანაში ამინდს, ჰოდა, ამინდს როცა ქმნი, ცხადია, რომ უშიშროების სამსახურია შენი შემქმნელ-მფარველი. დამოუკიდებლობა რომ გამოვაცხადეთ, რუსები კი გავიდნენ საქართველოდან, მაგრამ თავიანთი ქსელები დატოვეს.

საბჭოთა კავშირის დაშალამდე ჩამოყალიბდა „კაგებესა“ და ცეკაში ორი ფრთა, პატრიოტები და ლიბერალები, ამიტომაც იყო იმდენი კრიმინალური გარჩევები რუსეთში 90-იან წლებში, ბუზებივით რომ ხოცავდნენ „ახლადგამოჩეკილ“ ბიზნესმენებსა თუ კრიმინალურ „ავტორიტეტებს“. ჩამოყალიბებული იყო სხვადასხვა კრიმინალური დაჯგუფებები, „სოლნცევოს“, „კუნცევოს“ და ა.შ., რომლებიც ქართველი „კანონიერი ქურდების“ ჯემალ ხაჩიძისა და ტარიელ ონიანის შექმნილი იყო და ასევე დიდი „წვლილი“ მიუძღვოდა რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის „პროტეჟე“ ოთარ კვანტრიშვილს. ეს უკანასკნელი შემდეგ „კაგებეს“ ყოფილმა თანამშრომელმა სალონიკმა მოკლა, რომელმაც კრიმინალურ სამყაროში გადაინაცვლა. დღეს ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, ქვეყნების სპეცსამსახურები ხელმძღვანელობენ, საერთაშორისო დამნაშავეთა სამყაროს „საქმიანობა“ მთლიანად მათზეა დამოკიდებული.

საბჭოთა კავშირის დაშლამ, მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია პოსტსაბჭოთა კრიმინალურ სამყაროშიც. თუ მანამდე „კანონიერი ქურდი“ ქმნიდა თავის გარშემო დანაშაულებრივ ბანდას, 90-იანი წლებიდან კრიმინალური ე.წ. სააქციო საზოგადოებების ჩამოყალიბება დაიწყო, რომელთაც გარკვეულ პირთა ჯგუფი ხელმძღვანელობს. აქ შედიოდნენ, როგორც სპეცსამსახურის წარმომადგენელი, ისე ბიზნესმენი, პოლიტიკოსი, ე.წ. კანონიერი ქურდი, ჩინოვნიკი და ა.შ. ადრე ბანდის მეთაურს თუ რაიმე შეემთხვეოდა და მისი დაჯგუფება იშლებოდა, ახლა „გენერალიტეტი“ ყოველგვარი პრობლემის გარეშე, თავისი რიგებიდან შეცვლის „ატამანს“ და „სააქციო საზოგადოებას“ არავითარი პრობლემა არ ემუქრება. მათ ყველაფერი შეუძლიათ და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარ კანონზე მაღლა დგანან. კანონიერი ქურდები ადრე სამ კატეგორიად იყოფოდნენ, 1) უშიშროების სამსახურის — ტარიელ ონიანის მეთაურობით, რომლებიც საზღვარგარეთ გადიოდნენ და ყიდულობდნენ უძრავ ქონებას. რუსეთს იქ უამრავი ქონება აქვს, რაც სულ ამ კონტიგენტის ნაყიდი და შექმნილია. 2) ეს იყვნენ ის ქურდები, რომლებსაც ადგილზე „აგრიმიტებდა“ ხელისუფლება და მესამე — უპატრონოები, რომლებიც სულ ციხეში ისხდნენ.

**– ბატონო დავით, რომელ „კატეგორიას“ განეკუთვნებოდა და რატომ მოკლეს ე.წ. კანონიერი ქურდი არსენა მიქელაძე?**

– მიქელაძე უშიშროების „საკურატორო“ კატეგორიაში იყო, თან ძალზე სერიოზული პერსონა. მაშინ რა ინფორმაციებიც გვქონდა ძალოვანებს გეტყვით. ჩვენი ინფორმაციით ქართულმა დიასპორამ, მათ შორის კრიმინალურმა სამყარომ შეაგროვა ძალიან დიდი თანხა, სადღაც სამას მილიონ დოლარამდე აფხაზეთთან დაკავშირებით, მოგეხსენებათ მაშინ აფხაზეთის ომი მიმდინარეობდა. გამოუშვეს ეს ფული საქართველოში და მისცეს ჯაბა იოსელიანს, მაგრამ მერე ეს ფული გაქრა. არსენა მიქელაძე ამ თანხის მოსაძიებლად გამოუშვეს საქართველოში და ამას შეეწირა კიდეც, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. ვახტანგ კიკაბიძე რომ გამოდის ეს ნაძირალა, ვერ წარმოიდგენთ როგორ მძულს ეს არაკაცი, ვიღაცამ შემაკავა, თორემ არსენასთან ერთად ვიქნებოდიო. არსენა მიქელაძე ვერის საძმომ მოკლა და ეს ბებერი „ბულბულიც“ დიდი ეჭვი მაქვს, რომ მაგათთან იყო. საერთოდ კი, ან ერთ მხარეს რა ესაქმებოდა, ან მეორე მხარეს ამ უბედურ „ჩიტო-გვრიტოს“, წადი, მიხედე შენ საქმეს, იმღერე! რაც შეეხება იმ „გამქრალი ფულის“ ბოლო მისამართს, შევხედოთ ამ გაბიზნესმენებულ-გაპოლიტიკოსებულების ქონებას და დადგენა არ გაგვიჭირდება, „რედისონ-ბლუ“, „სილქროუდი“, ვითიბი ბანკი და ა.შ. ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ადრეც მითქვამს და გავიმეორებ, მონღოლ დამპყრობლებს არ მიუყენებიათ იმხელა ზიანი საქართველოსთვის, რაც ე.წ. ვარდების რევოლუციამ, რეალურად კი, სახელმწიფო გადატრიალებამ. ვინ იყვნენ ამ ე.წ. რევოლუციის „შემოქმედნი“? „კაგებეს“ აგენტურის შთამომავლები და თავადაც ამ სამსახურის მიერ გადაბირებულნი. იმიტომაც გაყარეს ქართული უშიშროების სამსახურიდან და სხვა ძალოვანი თუ საგამოძიებო სტრუქტურებიდან ეროვნულად მოაზროვნე პროფესიონალი კადრები. „ცენტრიდან“ მითითებასაც რომ თავი დავანებოთ, ბუნებრივია, თავადაც არ აწყობდათ იმ ხალხის ძალოვან სტრუქტურებში მუშაობა, ვინც მათი წარსული კარგად იცოდა. „კანონიერი ქურდების“ და ქუჩის ავტორიტეტების ადგილის დამკავებელ „ბესპრედელშჩიკებს“, რომლებიც მოგვიანებით „ვარდოსნების“ სახით ევროპულ კოსტუმებსა და ჰალსტუხებში გამოწყობილები მოგვევლინნენ და საბოლოოდ ჩაიგდეს ხელში ხელისუფლების სადავეები, თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ორგანიზებულ-დანაშაულებრივი საზოგადოება. არსებობს ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომელიც დანაშაულობების ჩადენის მიზნით მყარად ჩამოყალიბებული ჯგუფია. ის შეიძლება ერთი დანაშაულის მიზნით ჩამოყალიბდეს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, როცა იგი ცხოვრებამ კი არ შექმნა, არამედ უცხო ქვეყნის ზეგავლენით ჩამოყალიბდა, მიზანიც სულ სხვაა. დანაშაულებრივ დაჯგუფებებს წინასწარგანზრახული კრიმინალური მიზნები აქვთ, რომელთა წარმატების შემთხვევაშიც, საბოლოო მიზანი ხელისუფლების მიტაცებაა. ასე რომ, სახეზე გვაქვს ორგანიზებულ-დანაშაულებრივი საზოგადოების კლასიკური მაგალითი — კოლექტიური ნაცები, ანუ ადგილობრივი „ბესპრედელშჩიკები“.





ოთარ კვანტრიშვილი



ჯემალ ხაჩიძე



ტარიელ ონიანი

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# უფლისკენ მაცქერალი კაცი

*წინასიტყვაობის მაგიერ:*

*ამასწინათ ირაკლი ვაშაძემ დამირეკა და, როგორც სჩვევია, რაღაცნაირი მორიდებით და მობოდიშებით მითხრა: ძმაო ვახტანგ, მინდა ერთი ამბავი გიამბო ერთ ახალგაზრდა კაცზე, რომელმაც უამრავი სიკეთე გაგვიკეთა მეც და ჩემს საწყალ დასაც... მინდა, რომ შენ იცოდე ეს ამბავი...*

*ისტორია, რომელსაც ირაკლი მომიყვა, იმდენად მოულოდნელი და იმავე დროს იმდენად გულისშემძვრელი აღმოჩნდა, რომ კარგა ხანს ხმა ვერ ამოვიღე, მერე კი ირაკლის ვთხოვე, რაც ზეპირად მიამბო, ქაღალდზე გადაეტანა და წერილის ფორმა მიეცა, რადგან ვთვლი, რომ მსგავსი ისტორიები ერთმა და ორმა კაცმა კი არა მთელმა ქვეყანამ უნდა იცოდეს, რომ სიკეთე კიდევ უფრო ბევრისთვის გახდეს მისაბაძი და სანიმუშო, სიკეთემ სიკეთე ამრავლოს და გააძლიეროს.*

*...და, აი, ახლა გთავაზობთ ირაკლის წერილს, წერილს სიკეთის, გულისხმიერების, ადამიანურობის შესახებ, რომელმაც არ შეიძლება თვალზე ცრემლი არ მოგვგვაროთ და გული სითბოთი და სინათლით არ გაგივსოთ.*

**ვახტანგ ხარჩილავა**
*„საერთო გაზეთის“ მთ. რედაქტორი*



მამა იოანე კიკვაძე, მთაწმინდის მამა დავითის ტაძრის წინამძღვარი, არა მარტო დიდებული მოძღვარია, არამედ ჭეშმარიტი უფლის კაცი, ქართული ეკლესიის გულანთებული მეციხოვნე და, გაგიკვირდებათ, ქართული და მსოფლიო მწერლობის ღრმად მცოდნე და ლიტერატურაში ღრმად განსწავლული პიროვნება. ამიტომაცაა მისი მრევლი მრავალრიცხოვანი. ერთხელ საუბრისას, როცა ქართველ მწერლებზე ვსაუბრობდით, სოსო პაიჭაძეზე ჩამეკითხა, ეს მწერალი ძალიან მიყვარს, მისი წიგნი ხომ არ გექნება, რომ მათხოვოო. გამეხარდა, ჩემს მეგობარს, ცხონებულ სოსოს, დამფასებლად მამა იოანეც ჰყოლია... და აი, ასეთმა მოძღვარმა და უფლის კაცმა ერთხელ გამიხმო და მითხრა — ბატონო ირაკლი (გაგიკვირდებათ და მამა იოანე სულ ბატონო ირაკლით მომმართავს, მე, ცხადია, ვეწინააღმდეგები მომართვის ასეთ ფორმას, მაგრამ ამაოდ...) ერთი ახალგაზრდა, ჩვენ რომ გაგვეხარდება ისეთ ლექსებს წერს და მინდა შენ მის ნაღვაწს თვალი გადაავლო და რჩევები მისცეო.

მომიყვანა მამა იოანემ თვალებჭკვიანი, მომღიმარი ჭაბუკი... ეს ჭაბუკი არჩილ თალაკვაძე აღმოჩნდა. დავსხედით და დავიწყეთ პოეზიაში მოგზაურობა, ჯერ მე ვუთხარი ჩემი, მერე მან მითხრა თავისი. აღფრთოვანებული დავრჩი მისი განსწავლულობით, ზრდილობა-რიდიანობით, შევთანხმდით, რომ პოეზია, მოკლედ რომ ითქვას, ნიჭია და მადლია, რომ იგი, როგორც დიდი ილია გვასწავლის დიდი ტვირთი არის... რომ პოეზია ქართველი პოეტისთვის, უპირველესად ქვეყნის მსახურებაა. თუ „კაი ყმა“ არა ხარ და „კაცი ვარგებული“ ვერ იქნები პოეტი... უნდა იცოდე ქართული საგალობლები, რუსთაველი, ვაჟა, გურამიშვილი... პირველსავე შეხვედრისთანავე დავმეგობრდით... ერთი დღეც იყო



და პატარა პოეტური კრებულით გამომეცხადა არჩილი, თავისი ქცევით უკვე „კაი ყმის“ მადლს ნაზიარევი... მომართვა პატარა კრებული... მეგობარი გოგონაც გამაცნო... მასაც პატარა წიგნი ეჭირა ხელში... ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს... კვირაობით ტაძარში მამა იოანეს მსახურება გვამადლიანებდა... მერე არჩილი დროებით თვალს მიეფარა. და... ტელევიზორში დავლანდე, სიტყვას წარმოთქვამდა სახელმწიფო მსახურის მსჯელობით აღფრთოვანებული დავრჩი... მერე... მერე... ერთ საღამოს ტელეფონი აწკრიალდა და არჩილი ვარო, ბატონო ირაკლი... ამა და ამ თანამდებობაზე დამნიშნეს, ხომ არაფერი გჭირდებათო, რით შემიძლია დაგეხმაროთო და ა.შ. ვუსმენდი ამ ახალგაზრდას და უსასოობაში ჩავარდნილს გული მადლით და იმედით მევსებოდა



თურმე ეს ქვეყანა არ ყოფილა ღვთის პირისგან გადავარდნილი, რომ კაცს განგება განსაცდელს თავს დაგატეხს მაგრამ ღმერთი მხსნელად დამხმარედ მამა იოანეს დარ მოძღვარს გამოგიგზავნის, არჩილ თალაკვაძეს მოგივლენს მეოხედ და შენი ჭირის გამზიარებლად და შემამსუბუქებლად. გიზო ზარნაძეს, მამა მირიანს, ვახტანგ ხარჩილავას, კობა არაბულს მოგივლენს ძმად და მეგობრად... არას ვამბობ ძალიან ახლობელ ადამიანებზე.

ჩემი დაიკო წლების განმავლობაში ებრძოდა მძიმე ავადმყოფობას. მცირეოდენი შვება რომ ეგრძნო, უამრავი ძვირადღირებული წამალი და ექიმებთან მუდმივი კონსულტაციები ჭირდებოდა. ყველაფერი ეს, ცხადია, დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, რისი საშუალებაც ოჯახს არ ჰქონდა. ერთხელაც დატკივილიანებული და მეუბნება ნეტავ არჩილი სად არისო და... მეორე დღეს თითქოს გულში ზისო, ჩვენი არჩილი რეკავს: ბატონო ირაკლი როგორ ბრძანდებით, რით შემიძლია გემსახუროთ, ხომ არაფერი გჭირდებათო? ჩვენი გასაჭირი რომ მოვახსენე, არაფერზე იდარდოთ, ამ საკითხებს ყველაფერს მოგიგვარებთ ქალბატონი მაყვალა ნუ ინერვიულებსო... ზღაპარია თუ სიზმარ-ცხადი... — ყველაფერს არჩილი მოგვიგვარებსო — ქვითინებს სიხარულისგან ჩემი და...

ღმერთმა დაგლოცოს ჩვენი არჩილ, ჩვენო მშველელო, და მხსნელო მოდი და ნუ დაიჯერებ უფლის სასწაულებს, გამოჩნდება არჩილი ტელევიზორში, დაი მეძახის: ირაკლი, მოდი, მოდი, ტელევიზორში ჩვენი არჩილია, მოდი, ჩქარა მოდი... მეც მივდივარ, მივუჯდები დას გვერდით და ვუსმენთ ჩვენს არჩილს — მოაზროვნე ახალგაზრდა გემრიელი ქართულით უშეცდომოდ ესაუბრება საქართველოს.

ჩვენი არჩილი პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს. მოდი, ირაკლი, მოდიო, მეძახის დატკივილიანებული დაი, უხარია გახარებულია მეც გახარებული ვარ. — ახლა ნეტავ თუ დაგვირეკავს ჩვენი არჩილი, მოიცლის კი ჩვენთვის და როგორც ამდენ ხანს გვირეკავდა, ისე თუ დაგვირეკავსო, ნაღვლიანი ხმით კითხულობს ჩემი დაიკო და თითქოს ესმის არჩილს ჩემი დის გულისთქმა, თითქოს მის გულში ზის და მეორე დღეს ტელეფონი აწკრიალდება... ჩვეული სიდინჯით, თაფლნარევი ხმით იწყებს, — როგორ ბრძანდებით, ბატონო ირაკლი, ხომ იცით, როგორ გვიყვარხარ, დიდ პატივს გცემთ, ხომ არაფერი გჭირდებათ, როგორაა წამლების საქმე, ხომ არ გითავდებათ... ვუსმენ და სასოებით ვივსები... მივულოცე პარლამენტის თავმჯდომარეობა ვთხოვე სახელმწიფო სამსახურთან ერთად პოეზიისთვისაც დაეთმო მცირეოდენი დრო და... ღიმილნარევი ხმით დამეთანხმა...

16 იანვარს, ჩემმა დაიკომ ცათაშინა დაიდო ბინა. ცას შეაფრინდა ანგელოზის ფრთებით. რა სიტყვებით არ მანუგეშა ჩვენმა არჩილმა როგორ შეიცხადა!... — აბა რა გეგონაო, სხვანაირად როგორ მოიქცეოდაო, მაგი ხომ მორწმუნეაო, მამულიშვილიაო, მამა იოანეს სულიერი შვილიაო, ოჯახიშვილიაო... მესმოდა მეგობარი მწერლებისგან, ნათესავებისგან.

ჩვენი ქვეყანა უფლისკენ მაცქერალმა, ღმერთის, ერის, მოყვასის სიყვარულით გულანთებულმა „კაი ყმების“, „სავსე, ვარგებულ კაცთა“ ლაშქარმა უნდა იხსნას განსაცდელისგან. ჩვენი არჩილი ასეთი ლაშქრის წინამძღოლთაგანია. უფალმა დაგლოცოს უფლისკენ მაცქერალო, მოყვასის, სამშობლოს მოყვარულო არჩილ, ოჯახთან, საქართველოიანად. დიდმოწამე არჩილი გეწეოდეს.

**ირაკლი ვაშაყმაძე**



# ვინც საქართველოს მტერს მიწოდებს, თვითონ არის საქართველოს მტერი და პროვოკატორი, რომელსაც ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის შუღლის ჩამოგდება სურს

*გვესაუბრება საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესის თავმჯდომარე ალი ბაბაევი:*

— სანამ საუბარს დავიწყებდეთ, წინასწარ მინდა გითხრათ, რომ საჩივარი შემაქვს შესაბამის სტრუქტურაში ჩემი პატივისა და ღირსების შელახვის გამო.

ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც უხსოვარი დროიდან ვართ დასახლებული საქართველოში, ვცხოვრობთ და ვშრომობთ აქ, გვიყვარს საქართველო და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში ჩვენც გვაქვს ჩვენი, თუნდაც მცირე წვლილი შეტანილი, ახლა, რატომღაც, ზოგიერთი ცდილობს შუღლი დათესოს და საქართველოს აზერბაიჯანელები მტრად და მოღალატეებად წარმოაჩინოს. დამისახელოს ვინმემ,



აზერბაიჯანული მოსახლეობის სეპარატისტული გამოხტომები, მტრობა და ღალატი.

ვინც ჩვენს წინააღმდეგ იბრძვის, ჩემი აზრით, არის მესამე, მტრული ქვეყნის მიერ მომართული ძალა, რათა ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის შუღლი და დაპირისპირება გაღვივდეს.

**— ბატონო ალი, ყოველი ქართველისთვის მტკივნეულია ბოლოდროინდელი ამბები დავით გარეჯთან დაკავშირებით და ეს არც არის გასაკვირი.**

— მთელი კამპანია ამ კუთხით „პატრიოტთა ალიანსმა“ შექმნა, რომელსაც შეუერთდა სხვა ჯგუფებიც. ისინი პროვოკაციას არა მხოლოდ თბილისში, თვით დავით გარეჯშიც აწყობენ, რაც ნეგატიურად აისახა გაუთვითცნობიერებელ მოსახლეობაზე — ავიწროებენ აზერბაიჯანული ეროვნების მოქალაქეებს. მაღაზიაში შესულებსაც კი აყვედრიან: აჰა, დავით გარეჯი გინდოდათ? — ვერ მოგართვით! სინამდვილეში, უბრალო აზერბაიჯანელ მოქალაქეს არავითარი პრეტენზია არ აქვს დავით გარეჯზე, მაგრამ შეურაცხყოფილი ხომ რჩება?! არ იცის, რა უპასუხოს. ვინც ქართული იცის, კიდევ კარგი, ვინც არა — ფიქრობს, რომ ქართველები აგინებენ...

ენის საკითხიც პრობლემაა და მე არაერთხელ დამიწერია და მითქვამს, რომ აუცილებელია მეტი პროპაგანდა, მეტი ქართული სკოლის თუ ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფების გახსნა კომპაქტურად აზერბაიჯანელებით დასახლებულ ტერიტორიებზე საქართველოში, მათი ინტეგრაციისთვის, მეტად გაშინაურებისთვის ქართულ სახელმწიფოში, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავს...

ერთი სიტყვით, მინდა მივმართო სათანადო ორგანოებს, გაარკვიონ, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, რატომ მიმდინარეობს მასობრივი და პერმანენტული დისკრედიტაცია აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის და რატომ მიწოდებენ მე, ალი ბაბაევს, საქართველოს მტერს?!

აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის არსებობს დიპლომატიური და მეგობრულ-პარტნიორული შეთანხმებები და ურთიერთობა. ამ ხალხს რა უნდა, ვერ ვხვდები.

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა სხვა სპექტრში ვითარდება.კონკრეტულად დავით გარეჯთან დაკავშირებით, შექმნილია კომისია, რომელიც გადაწყვეტილებას თავად მიიღებს. ვინც გარეჯის გამო მთელ აზერბაიჯანულ მოსახლეობას ლანძღავს, ის უხეშად ერევა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობებში.

**— მაგრამ თქვენ ამბობთ, რომ პირადად გიწოდებენ მოღალატეს.**

— დიახ, და თუ ასე მიიჩნევენ, დამიმტკიცონ, რომ სამშობლო გავყიდე.

გარკვეული ხნის წინ ელისო კილაძემ დადო ყალბი ცნობა, თითქოს მე აგენტი ვიყავი რომელიღაც სტრუქტურის, მაგრამ სასამართლომ დაამტკიცა, რომ ეს იყო ცილისწამება კილაძის მხრიდან და ჩემი ოთხი ინტერვიუც გამოაქვეყნა შემდეგ „ქრონიკა+“-ში.

ახლა ახალი პროვოკაციები დაიწყეს — მარნეულელი აზერბაიჯანელები საქართველოში საუკეთესოდ ცხოვრობენო. რა მოითხოვეს აზერბაიჯანელებმა საქართველოსგან — აქ ცხოვრობდნენ მათი წინაპრები, ახლა გადასახლდეს ეს ხალხი სადმე თუ რა გააკეთონ? შრომობენ, თავისი ოფლით ინახავენ ოჯახს და საქართველოს სოფლის მეურნეობაშიც წვლილიც შეაქვთ. რა ქნან მეტი?!

ყურბან-ბაირამი წელს არც პრეზიდენტმა მოგვილოცა და არც სხვა სახელმწიფო პირებმა, მაგრამ შეიხმა მითხრა: გიორგი გახარიამ დაგვიბარა და თავად მოგვილოცა დღესასწაული საქართველოს მუსულმანებსო. პანდემიასთან დაკავშირებით არ გაიმართა დიდი შეკრება, ანუ სახელმწიფო პოლიტიკა არის მშვიდობიანი, ზოგიერთები კი ამ მშვიდობის ომად გამოცხადებას ცდილობენ.



**— ბატონო ალი, დავით გარეჯზე გკითხეთ და უფრო დავაკონკრეტებ: დავით გარეჯი არის ყველა ქართველისთვის სალოცავი და სანუკვარი ადგილი და ჩვენი ტერიტორია.**

— მე არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: დავით გარეჯი არის საქართველოს კუთვნილება და ისტორიული მნიშვნელობის კულტურული ძეგლი, ბერთუბანი, ჩიჩხიტური და სხვა, ეს არის სახელმწიფოთა შორის სადაო ტერიტორიები, სააკაშვილის პერიოდში დავით გარეჯი ალბანური კულტურის ძეგლად აღიარეს და ხმა არავის ამოუღია, მაშინ ეს სახელმწიფოთა შორის შეთანხმება იყო. ახლა კომისია სწავლობს ყველაფერს და რა დასკვნებსაც დადებს, მერე შესაძლებელია აზრი გამოხატოს ყველა მოქალაქემ ამ დასკვნის გარშემო. პირადად მე როგორ დავუმტკიცებ ან საქართველოს, ან აზერბაიჯანს რომელიმე ტერიტორიას, არ მესმის ეს.

**— ბატონო ალი, მარნეულში ნარიმან ნარიმანოვის ძეგლთან დაკავშირებით დიდი ვნებათაღელვაა ატეხილი. რა ხდება სინამდვილეში?**

— არასდროს გვქონია პრეტენზიები, მაგრამ ჩვენ, საქართველოს აზერბაიჯანელებს, გვაქვს ჩვენი ისტორია, რომელსაც ქმნიდა, მაგალითად, მირზა ფათალი ახუნდოვი, რომლის ძეგლი ყოფილი ლესელიძის ქუჩაზე იყო, ქალაქის ცენტრში. 90-იან წლებში ეს ძეგლი მოხსნეს, არადა, ჩვენ გვიხაროდა, რომ ჩვენს თანამოძმეს ისეთი წვლილი ჰქონდა საქართველოს ისტორიაში, რომ ძეგლის დადგმის ღირსი გახდა. თბილისში იყო მეჩეთი, რომელიც 1600 წელს იყო აშენებული, ისიც დაანგრიეს ბარბაროსულად.

რაც შეეხება ნარიმანოვის ძეგლს.

ნარიმან ნარიმანოვი დაიბადა თბილისში, დაამთავრა გორის სემინარია, იყო პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ამიერკავკასიაში ცნობილი ადამიანი, რომელიც გასული საუკუნის 20-იან წლებში მოწამლეს კომუნისტებმა. ამ კაცს 150 წელი შეუსრულდა წელს, მაგრამ შაუმიანის დასახლება რომ არის საქართველოში, ძეგლიც კი დგას, კიროვკაც არსებობს, სომხურ თეატრს აშენებს ჩვენი ხელისუფლება, ამაზე რატომ არ აქვთ პრეტენზიები.

საქართველოში მცხოვრები 350 000 მოქალაქისთვის ნარიმან ნარიმანოვი არის საზოგადო მოღვაწე. ასე ვთვლით ჩვენ და გვეამაყება და მისი შეურაცხყოფა საქართველოს აზერბაიჯანელების შეურაცხყოფაა.

რაც შემეხება მე, მკლავის გადაგრეხვას არ დავიწყებ — შევიტან საჩივარს და დამიმტკიცონ, რა დავუშავე საქართველოს და რატომ ვარ ამ ქვეყნის მოღალატე, არგუმენტად მოაქვთ, საეჭვო სახის კონფერენციებს მართავს ალი ბაბაევიო. მოგახსენებთ: მე, როგორც საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესის წარმომადგენელი, კონფერენციაზე მართლაც მიმიწვიეს ბაქოში, დეზინფორმატორები კი ამბობენ, რომ მე თბილისში ჩავატარე კონფერენცია. თუნდაც აქ ჩამეტარებინა, რა არის ამაში დანაშაული, სიმართლე კი ის არის, რომ მე კონფერენციას დავესწარი ბაქოში.

მიკვირს, რატომ არ აპროტესტებენ პროვოკატორები იმას, რომ დიდგორობის დღეს სომხებმა დიდგორის ტერიტორიაზე შუშის აღების დღე იზეიმეს?

26 თებერვალი არის ხოჯალის გენოციდის დღე, როცა ხოჯალში სომხებმა ქალები, ბავშვები და მოხუცები ამოწყვიტეს. ამ დღეს არავინ ახსენებს, მაგრამ ზოგიერთები თავს იკლავენ სომხეთის გენოციდის აღიარებაზე და აქციებს რომ ატარებენ გენოციდის დღედ დასახელებულ 24 აპრილს, ქართველები ამას მხარს უჭერენ და აქციებს ატარებენ აზერბაიჯანის საელჩოსთან: აზერბაიჯანი ოკუპანტიაო. სად არის ლოგიკა, მე არ ვიცი.

როცა, მაგალითად, სომხური მხარე საქართველოს 442 ქართულ ეკლესიას იჩემებს და ედავება, რატომ ამაზე არავინ ხმას არ იღებს? არც ლორეზე და არც სხვა ძეგლებზე, რომლებიც დავით გარეჯზე უფრო უძველესი ქართული ძეგლებია?!

არავის კრიჭაში არ ვუდგავარ. მე ვხატავ სურათს და თუ ვინმეს აინტერესებს, სურათი ასეთია.

მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ცხოვრება და კულტურა განუყოფელია, თუმცა იდენტობა, ცხადია, არსებობს. კარგად მახსოვს, ქსნის ციხესთან წმინდა გიორგის სახე-



ლობის ეკლესიაში, გიორგობის დღეს მეც დავდიოდი და ახლაც დავდივარ. ჩემი ავადმყოფობის პერიოდში დედაჩემი სალოცავად მიდიოდა და მუხლზე დაჩოქილი ევედრებოდა წმინდა გიორგის ჩემს გადარჩენას.

**— ბატონო ალი, გავრცელდა ინფორმაცია, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ ცრუ ინფორმაციად აღიარა, რომ, თითქოს, სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ბოლო დროს გამწვავებულ კონფლიქტთან დაკავშირებით, საქართველომ ჩვენთვის უცნობი შემადგენლობის ტვირთები გაატარა სომხეთის სასარგებლოდ. თუნდაც ინფორმაციის ცრუ გავრცელება ქვეყნის შიდა მტრებს ხომ არ აწყობდათ?**

— ღიად გეუბნებით, დღეს საქართველოში არიან ძალები, რომლებსაც დივერსიებით, ყველანაირი უკუღმართობით, სურთ ქვეყანაში დესტაბილიზაცია შექმნან და ცდილობენ სიტუაცია დაიძაბოს. რაც შეეხება ტვირთებს, ვერავინ დაამტკიცებს იმ ტრანზიტში იარაღი იყო თუ სხვა დანიშნულების საქონელი.

არჩევნები მოდის, ეპიდემიის ახალ ტალღას ელოდებიან და დამისახელეთ ერთი სერიოზული გეგმა ან პროექტი, რომელსაც ოპოზიცია გვთავაზობს.

დეზინფორმაციული, მართული



ტელევიზიებით, ცდილობენ არეულობის შექმნას — ეროვნული შუღლი, საბოტაჟი მაგათი მოგონილია.

თუნდაც ავიღოთ ახალგაზრდა ბიჭის — გიორგი შაქარაშვილის ანდა თამარ ბაჩალიაშვილის საქმეები. ყველაფერს პოლიტიკისთვის იყენებენ — დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიებაო და ა.შ. ეს არის ქვეყნის განვითარებისთვის ხელის შეშლა.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ქვეყანა დღეს ხალხის სასარგებლოდ ვითარდება?**

— დღეს საქართველო სტაბილური ქვეყანა გახდა და მიმართულია მშვიდობისკენ. ეპიდემიას სასახელოდ გაუმკლავდა საქართველო.

ჩვენ გმირი ექიმები გვყავს და დაბალანსებული მმართველობა — პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით.

საქართველოს აზერბაიჯანელები ქართველების შემდეგ რაოდენობრივად ყველაზე მრავალრიცხოვანი ვართ საქართველოში. არ გამოვრიცხავ, დაიწყოს სპეკულირება ამ მიმართულებით და ხელი შეუშალონ აზერბაიჯანელ მოსახლეობას არჩევნებში სწორი ორიენტაციის გაკეთებაში.

მე, როგორც სოციოლოგი და პოლიტოლოგი, გავიხსენებ, როგორ ირჩევდნენ კანდიდატებს შევარდნაძის დროს, სააკაშვილის პერიოდში და ახლა.

სააკაშვილის დროს სპეციალური ჯგუფები ჰყავდათ აზერბაიჯანულ მოსახლეობაში. ღირსების და ვახტანგ გორგასლის ორდენს ანიჭებდნენ, ომში რომ არ იყო ნამყოფი, ისეთ ხალხს, რომ ხელისუფლების სასარგებლოდ ემუშავათ. სცემდნენ იქაურებს, იჭერდნენ, ვინც არ ეთანხმებოდა მათ. დაშინებული იყო ხალხი. ხდებოდა გაყალბებები. ოპოზიციური პარტიები ვერ ჩნდებოდნენ რეგიონში. 2012 წლის მერე შეიცვალა სიტუაცია. ყველა პარტია თავისუფლად დადის და ჰპირდება ხალხს, რომ ხელისუფლებაში მოვლენ და ყველაფერს გააკეთებენ. მაგრამ ყველამ ხომ ვიცით, 2012 წლის მერე საქართველოში რამდენი კარგი რამ გაკეთდა.

ისეთი თავისუფლება მიეცა ხალხს, რომ პანდემიის დროს აქციებიც გაიმართა მარნეულში და მიშა-მიშას აძახებინებდნენ ადამიანებს, რომლებსაც სააკაშვილის პერიოდში, ალბათ პირდაპირ დახვრეტდნენ.

მე ვიცი, რა მდგომარეობა იყო 2012 წლამდე აზერბაიჯანულენოვან ტერიტორიებზე. არ იყო მოგვარებული სასმელი წყლის პრობლემა, არ იყო გზები, გაზი.

„ქართული ოცნების“ პერიოდში დაიწყო სერიოზული მუშაობა ამ მიმართულებით. დაიწყო სოფლის მეურნეობის პროგრამების ამოქმედება, ჯანდაცვის პროგრამების, ბიზნესის განვითარების მიმართულებით და ა.შ. მაგრამ „ქართულ ოცნებას“ აქვს სერიოზული პრობლემა პიარში.

სააკაშვილმა ერთი საავადმყოფო ხუთჯერ გახსნა, ერთი პატარა საწარმო — ოთხჯერ. რეკლამირდებოდა ყველაფერი, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

დღეს „ქართულ ოცნებას“ მოსახლეობასთან მისასვლელი პირი აქვს, მაგრამ მიმსვლელი არაა. „ოცნებაში“ ბევრი პორტირებულია და გულით ნაცების მომხრე, ისინი რა სიკეთეს გააკეთებენ?!

ავიღოთ კახა ოქრიაშვილი — დმანისის დეპუტატი.

ამ კაცს უნდა, რომ მთელი ცხოვრება მაჟორიტარი იყოს, რადგან დიდი ინტერესი აქვს დმანისში. მონოპოლისტია. თუ ვინმე პატრიოტი გამოჩნდა, აუცილებლად დაინტერესდება მისი საქმიანობით, ამიტომ სურს სიკვდილამდე მაჟორიტარი იყოს.

დმანისის მერი მისი ახლობელი იყო, საკრებულოს თავმჯდომარე — ბიძაშვილი, რომელიც თავის დროზე „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ იბრძოდა. ესენი დღეს მიწათმფლობელები არიან დმანისში.

**— ლევან მამალაძის გუბერნატორობა თუ გახსოვთ, ბატონო ალი?**

— ლევან მამალაძეს, რაც საკრიტიკებელი ჰქონდა, ვაკრიტიკებდი, თუმცა ის კარგი მენეჯერი და საქმის მკეთებელი კაცი იყო. ხალხთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

დიდ პატივს ვცემ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც ხალხთან ურთიერთობა შეუძლიათ.

ლევან მამალაძე ებრძოდა სააკაშვილის რეჟიმს და სამწუხაროა, რომ ჩემმა პრეზიდენტმა, რომელსაც მე მხარს ვუჭერ, უგულავა და ჯალათი ოქრუაშვილი შეიწყალა და ლევან მამალაძის შეწყალებაზე აქამდე თავს იკავებს.

სააკაშვილის რეჟიმს რომ გაექცა, ის ადამიანები უნდა დავაბრუნოთ, გამოიძიონ მათი საქმეები. დავიბრუნოთ ეს ხალხი. ისინი ბევრ სიკეთეს მოუტანენ ჩვენს ქვეყანას.

**— ბატონო ალი, თქვენ „ქართული ოცნების“ ჩამოყალიბების დღიდანვე იდექით მათ გვერდით. პოლიტსაბჭოს წევრიც იყავით. არ აპირებთ კენჭი იყაროთ? არც შემოთავაზება გქონიათ?**

— გმადლობთ ამ შეკითხვისთვის.

მე გული მწყდება იმიტომ კი არა, რომ დეპუტატი არ ვარ, ან რომელიმე მინისტრის მოადგილე, ან სხვა რამ. თავის დროზე შემომთავაზეს თანამდებობები, მაგრამ ეს ჩემთვის არაა მნიშვნელოვანი. ბევრი ფიქრობდა, რომ საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ სიაში ვიქნებოდი, მაგრამ ჩამონათვალში ისეთი ადამიანები აღმოჩნდნენ, არავითარი კავშირი რომ არ ჰქონდათ „ქართულ ოცნებასთან“.




მე არ ვარ არც საქართველოს გამყიდველი, არც ჩემი გუნდის — „ქართული ოცნების“ გამყიდველი.

სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ ნამდვილი გულშემატკივრები და მებრძოლი ხალხი უკანა პლანზე იქნა გადასროლილი და პარტიაში მოვიდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც პარტიის წინააღმდეგაც იბრძოდნენ. ამან განაპირობა, რომ პარტიის შიგნით მოხდა განხეთქილება.

მე დღეს „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატების 90 პროცენტის მხარს ვუჭერ, თუმცა პროპორციულ სიებზე სერიოზულ მუშაობაა გასატარებელი.

საქართველოში მაცხოვრებელი არაქართული ეროვნების ადამიანი, რომელიც არ ფლობს ქართულ ენას, მას არ უყვარს ეს ქვეყანა. თუ ადამიანი არაა ცნობილი ქართულ საზოგადოებაში, ან თუნდაც ეთნოსში, თუ პოლიტიკური პრინციპები არ აქვს და არ იცის, რატომ მიდის პარლამენტში, არ აქვს უფლება კრიტიკულ, ან საზეიმო მომენტში თავის ამომრჩეველთან მივიდეს და დაელაპარაკოს, არ არის დაფასებული, სიტყვას ვერ იტყვის, თუნდაც ხუთი-ექვს აქტიურ რეკომენდაციას, ან წინადადებას არ შესთავაზებს პარლამენტს, არ ითანამშრომლებს საპარლამენტო კომიტეტებთან, რა საჭიროა ასეთი დეპუტატი?

დღეს ისეთი დროა, რომ პარლამენტში ტელეფონზე თამაშის პერიოდი არაა. აქტიური და საქმის მკეთებელი ადამიანები უნდა მოვიდნენ.



როგორც იცით, მე ვარ საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესის თავმჯდომარე. ჩვენი ორგანიზაცია ცდილობს ხელი შეუწყოს აზერბაიჯანელთა ინტეგრაციას საქართველოში, კეთილმეზობლურ ურთიერთობებს რეგიონის ქვეყნებთან, მშვიდობას და მეგობრობას.

30 წელიწადია ვიცავ საქართველოს აზერბაიჯანელთა უფლებებს. ჩემი პრინციპები ყველამ იცის. მე იქ ვარ, სადაც საქართველოს აზერბაიჯანელებს და საქართველოს სჭირდება. თუ შანსი მომეცა, ვფიქრობ, ღირსეული კანდიდატი ვიქნები, თუ არა, მე მაინც ვრჩები საქართველოს, „ქართული ოცნების“, ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი და ერთგული ჯარისკაცი და ვიბრძოლებ წურბელა პორტირებულების წინააღმდეგ, რომლებიც მხოლოდ თავიანთი ჯიბეების გასქელებისთვის იბრძვიან.

დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება“ ამ არჩევნებშიც გამარჯვებული გამოვა, რადგან ქართული საზოგადოება ბრძენია. ის კარგად არჩევს ცუდს და კარგს.

ვითომ ოპოზიციური ძალები, რომლებიც ყველაფერზე მიდიან, გავიხსენოთ მათი წარსული. გავიხსენოთ, ვინ იყო და არის ხაზარაძე, ნათელაშვილი, ბოკერია, ბურჯანაძე.

26 მაისის და 7 ნოემბრის მონაწილე ვარ და არ მეგონა ნინო ბურჯანაძეს ბოკერიას და უგულავას გვერდით თუ ვიხილავდი. ბევრი რამის მომსწრე ვარ და ბევრი რამის თქმა შემიძლია, მაგრამ გაოცებული გახლავარ, რა პირით გამოდის გიორგი ვაშაძე და აღმაშენებელს ახსენებს.

ეს ხალხი ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებს.

იმედი მაქვს, ჩვენი მოსახლეობა ამჯერადაც სწორ არჩევანს გააკეთებს და „ქართულ ოცნებას“ კვლავ მისცემს საშუალებას ზედმეტი ხმაურის გარეშე აკეთოს საქმე, აშენოს ქვეყანა, რასაც აკეთებს კიდევაც 2012 წლიდან დღემდე.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# მკვლელად სახელმწიფოს გამოყვანა სახელმწიფოს მიზანმიმართული მოშლის მცდელობას ნიშნავს და დანაშაულია

*გვესაუბრება დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი*

**— ქალბატონო მაია, არასამთავრობო ორგანიზაცია „ემპათიას“ დასკვნებს არ ეთანხმებით, „ემპათია“ თქვენს კომპეტენციას ეჭვქვეშ აყენებს. რა ხდება სინამდვილეში?**

— იყო პერიოდი, როცა არასამთავრობო ორგანიზაცია მეც მქონდა, თუმცა ეს ეტაპი გავიარე. მიმაჩნია, რომ პროფესიაში იმდენს მივაღწიე, დამოუკიდებლად შემიძლია მუშაობა. არასამთავრობო სექტორი კი ითვალისწინებს მუდმივად ყოფნას დონორების იმედზე, მიმაჩნია, რომ გარკვეული ეტაპის მერე უნდა გადახვიდე საკუთარი შრომით ანაზღაურების მიღებაზე.

მე დღეს კერძო ექსპერტის კუთხით ვმუშაობ. გვაქვს ლიცენზია და მუშაობის ლეგიტიმური უფლება.

მედიას ჰქონდა შეკითხვები ჩემს მიმართ ბოლოდროინდელ ტრაგედიებთან და კერძოდ, შაქარაშვილის საქმესთან დაკავშირებით და მე, როგორც სპეციალისტს, უფლება არ მქონდა, არ მეპასუხა, თუმცა ჩემი პასუხი იყო ასეთი: მე უშუალოდ არ ვმონაწილეობ ამ საქმეში და დასკვნებს ვერ გავაკეთებ-მეთქი. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ბრალდებულების დაცვის სტრატეგია არსებობს და მე ვერ გადავუჭრი ადვოკატებს მათი დაცვის ქვეშ მყოფების საქმეს, როცა არ ვმონაწილეობ ამ საქმეში, მაგრამ თუ დავუშვათ, იმ 17 დაკავებულიდან ერთ-ერთი მომმართავდა, ვერ ჩავერთვებოდი საქმეში, თუკი კომენტარი მექნებოდა გაცემული. ეს ჩვეულებრივი სამართლებრივი პროცედურაა. დაზარალებულმა მხარემ (შაქარაშვილს ვგულისხმობ) მიმართა დამოუკიდებელ ექსპერტს ბატონ გეჯაძეს, მაგრამ ყველაფერი, როცა უკვე მივიდა აბსოლუტურ პროფანაციამდე და წარმოუდგენელი გახდა ყველაფრის მოსმენა, ბატონ მირიან ნიკოლაძეს ვუთხარი: არ გეწყინოთ, მაგრამ მე მოსაზრება გამოვთქვი მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი პროფესია დავიცავი-მეთქი.



ეს არის საქმე, რომელსაც მთელი ცხოვრება ვემსახურები და ხმის ამოუღებლობა თითქმის პირად შეურაცხყოფად მივიღე.

ფანტაზიებმა ჩაანაცვლა სასამართლო მედიცინა და ამის ატანა მართლა არ არის ადვილი.

**— და ეს ფანტაზიები, როგორც ამბობთ, რა მიზნით გაჟღერდა — პირადი დაინტერესებით თუ ვინმეს დავალებით?**

— არასამთავრობო სექტორი გულისხმობს საზოგადოებრივ აქტივობას. გრანტები ამის მიხედვით მოიპოვება. როგორც გითხარით, მეც არასამთავრობო სექტორიდან მოვდივარ, მერე კი დგება პერიოდი, როცა ორგანიზაციულად მოძლიერდები, უნდა იფიქრო საკუთარი შესაძლებლობებით საქმის კეთებაზე. საერთოდაც, არასამთავრობო ორგანიზაციის აქტივობაში დასაძრახი არაფერი არ არის, მაგრამ, როცა მთლიანად წეწავ გამოძიების მსვლელობას და ქმნი არასწორ საზოგადოებრივ აზრს არაკომპეტენტური შეხედულებებით და ამ არაკომპეტენტურ აზრს, როგორც ექსპერტის დასკვნას, ისე აწვდი საზოგადოებას, ეს არის მანიპულირება და სამართალწარმოებისთვის ხელის შეშლა.

საზოგადოებას, რომელიც არ არის ჩართული და ჩახედული ასეთი მძიმე საქმეების დეტალებში, როცა ეუბნები, რომ 48 საათზე მეტ ხანს შაქარაშვილის ცხედარი წყალში არ ყოფილა, საზოგადოებამ არ იცის ცხედრის მდგომარეობა, გაშეშების ნიუანსები და ის იწყებს ფიქრს, რომ, უი, ასე ყოფილა, ისე ყოფილა და ეჭვი შეაქვთ ექსპერტიზის სისწორეში.



ქალბატონ გალინა კარმუშინას პროფესიონალიზმში მე ეჭვი არ მეპარება. ტერმინოლოგია, რომლითაც ის საუბრობს, მარწმუნებს, რომ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზასთან ნამდვილად ჰქონია შეხება, თუმცა, როგორც კი გადადის მსჯელობაში, ეს უკვე არის კატასტროფა.

ვიმეორებ: პროფანაციას როცა ვხედავ, გული მტკივა.

30 წელი შეგილევია საქმისთვის და უცებ, ხედავ, რომ ყველაფერ ამისგან შორს მყოფი ადამიანი აკეთებს კატეგორიულ დასკვნებს, რომლებსაც არავითარი საფუძველი არ აქვს.

ყოველივე ამით კი მიდის გამოძიებისთვის ხელის შეშლა და საზოგადოებრივი აზრის სრული დეზორიენტაცია.

ჩემი სპეციალობის ინსტრუმენტად გამოყენება ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია.

ყველას გვახსოვს, საბჭოთა კავშირში, მანიპულაციის იარაღად როგორ იყენებდნენ ფსიქიატრიულ ექსპერტიზას არასასურველი ადამიანების მოსაშორებლად.

სასამართლო მედიცინაში, მთელი 30 წლის განმავლობაში, არ მინახავს სასამართლო მედიცინის იარაღად გამოყენება. დღეს საზოგადოებაზე მანიპულირების იარაღად რომ იქცა ჩემი პროფესია, ძალიან აღვშფოთდი, საინტერესო ისიცაა, რომ ყოველივე ეს ხდება არა სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების გარკვეული პოლიტიზებული ნაწილის მხრიდან.

**— საბჭოთა კავშირი ახსენეთ და „ემპათიას“ ხელმძღვანელი თქვენ „პაგონებიან“ სამედიცინო ექსპერტს გიწოდებთ.**

— რამდენადაც ვიცი, მარიამ ჯიშკარიანი ჩემზე 3 თუ 4 წლით უმცროსია. მას სამკურნალო ფაკულტეტი ექნება დამთავრებული, სხვანაირად სასამართლო სამედიცინო ექსპერტი ვერ გახდები და თუკი მკურნალი ექიმი, ან პედიატრია, სამხედრო კათედრა გავლილი ექნება და აუცილებლად ლეიტენანტად დაამთავრებდა ინსტიტუტს. მეორეც, თვითონაც იმ საბჭოთა კავშირის პერიოდში სწავლობდა.

პირადად მე, ხაზგასმით აღვნიშნავ, არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში არ ვყოფილვარ.

სასამართლო მედიკები კი, საზოგადოდ, რაც უნდა იყოს, ჩინს პროფესიულად, არ ვატარებთ. იმთავითვე ვეკუთვნოდით მხოლოდ ჯანდაცვის სისტემას.

2004 წლიდან ეს მიდგომები შეიცვალა.

1994 წელს მე დავიწყე სერიოზული მუშაობა იმაზე, რომ შეცვლილიყო ექსპერტიზების სისტემა და გაჩენილიყო არასახელმწიფო ექსპერტიზის, დამოუკიდებელი ექსპერტიზის ინსტიტუტი. ალტერნატიული ექსპერტიზის პროცედენტი პირადად ჩემი იდეით განხორციელდა საქართველოში. დიდი ომები გადავიტანე, თუმცა მერე, დამოუკიდებელი ექსპერტიზა, ყველა დონეზე, კანონმდებლობის შესაბამისად ლეგიტიმური გახდა.

სიამაყით ვიტყვი, რომ საქართველო იყო პირველი, სადაც პირველი არასახელმწიფო ექსპერტიზა განხორციელდა.

ეს არის ფუფუნება, რომელიც დასავლეთის ქვეყნებსაც კი არ აქვს, თუმცა, სამწუხაროდ, კანონმდებლობაში დღემდე დარჩა ეს ხარვეზები.

ჩვენს ექსპერტებს დღეს სხვადასხვა ქვეყნებში იწვევენ. მათ შორის მეც ვყოფილვარ არაერთხელ, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტი.



დღეს, როცა გამოდის ვიღაც, რომელსაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზასთან საერთოდ შეხება არ ჰქონია, ვგულისხმობ „ემპათიას“ და ის სიღრმეებში არ არის ჩახედული, გასაგებია, რომ აქვს ლიცენზია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აქვთ უფლება ხმამაღლა ისაუბრონ ასე თავდაჯერებულად.

**— 1996 წლიდან ვარ ექსპერტიო, თქვა ქალბატონმა მარიამ ჯიშკარიანმა.**

— სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაში ის არ ყოფილა. ის აკეთებს ე.წ. დასკვნებს, მაგრამ ეს არ არის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. ეს სულ სხვა რამეა. მედიცინის ექსპერტი — ასეთი სპეციალობა არ არსებობს.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი არის სპეციალობა, სასამართლო მედიცინა კი მეცნიერებაა. მაგალითად, მე შემიძლია საკუთარ თავს დავარქვა ჩემი კაბინეტის დედოფალი, მაგრამ ეს სასაცილო იქნება და მეტი არაფერი. ასეა „ემპათიას“ შემთხვევაშიც.

**— თქვენ თქვით, რომ გული გწყდებათ, სპეციალობას რომ ინსტრუმენტად იყენებენ, სხვათა შორის, მედიასაც იყენებენ ინსტრუმენტად, რის გამოც, საბოლოო ჯამში, სიმართლის დადგენას ეშლება ხელი.**

— სამწუხაროდ, არსებობს ტენდენცია მიზანმიმართულად გამოიყენონ სხვადასხვა საშუალებები ინსტრუმენტად აზრის დამახინჯების თვალსაზრისით, ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში არის პარტიული მედია, რომელიც ამ კუთხით აქტიურად მუშაობს. ისინი მიზანმიმართულად ცდილობენ დამნაშავედ გამოიყვანონ სახელმწიფო.



მკვლელად სახელმწიფოს გამოყვანა, სახელმწიფოს დადანაშაულება და კონკრეტული დამნაშავეებისადმი უმაღლესი სახელმწიფო პირების მფარველობაში ეჭვის შეტანა, სახელმწიფოს მოშლას, ან მოშლის მიზანმიმართულ მცდელობას ნიშნავს და დანაშაულია.

ცდილობენ, მაგრამ რამდენად გაუვათ ეს მცდელობა, სხვა საკითხია. ყოველ შემთხვევაში, არჩევნებამდე ამ რეჟიმში მოგვიწევს, ალბათ, ყოფნა.

**— ყველას აინტერესებს, თქვენ რას ფიქრობთ შაქარაშვილის საქმეზე?**

— ექსპერტიზის დასკვნას გავეცანი, არის რაღაცები, რაც კითხვის ნიშნებს ბადებს, მაგრამ არაფერს ვიტყვი, რომ არ მივცე ე.წ. „შპარგალკა“ რომელიმე ბრალდებულს.

მე მაქვს ჩემი ვარაუდები, ჩემი ვერსიები შაქარაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

**— კერძოდ, როგორია თქვენი ვერსია, როგორ შეიძლებოდა გარდაცვლილიყო გიორგი შაქარაშვილი?**

— ჩემს ვერსიებს არავითარ შემთხვევაში არ გავახმაურებ. ეს ჩემი ვერსიები და ვარაუდებია.

ექსპერტიზის დასკვნიდან გამომდინარე, გარდაცვლილს აქვს დაზიანებები, მაგრამ გადაჭრით რამის თქმამ, შეიძლება, იმხელა შეცდომა დაგვაშვებინოს, რომ ხელი შევუშალოთ გამოძიებას.

**— ამ დაზიანებებს შეიძლებოდა სიკვდილი გამოეწვია?**

— ამაზე შეგნებულად არ ვსაუბრობ. შაქარაშვილი ნამდვილად ასფიქსიით (წყალში დახრჩობა) გარდაიცვალა. ეს ლაბორატორიული კვლევებითაც დასტურდება და უამრავი სხვა ნიშნით, რომლებიც გვამის გამოკვლევისას იყო აღნიშნული. მაგრამ ამაზე საუბარი გადაჭრით არ მიმაჩნია სწორად.

ჟურნალისტური გამოძიების ხელშეწყობის მომხრე, პირველ რიგში, მე ვარ, მაგრამ რასაც ახლა ვხედავთ, ეს არ არის ჟურნალისტური გამოძიება. ეს არის მანიპულირება. დამერწმუნეთ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18





# „დამამხობლები“





რა დაემართა ე.წ. ოპოზიციას? ყველა ერთდროულად და ერთნაირად გადავიდა ჭკუიდან. რომ გითხრათ, ე.წ. ოპოზიციონრები ადრე ჭკუა-გონებით დატენილები იყვნენ და ახლა გააფრინეს-მეთქი, მაგასაც მოგატყუებთ, მაგრამ ეგრე ასტრალშიც არ იყვნენ გასულები. ეგ კი არა, უკვე დარწმუნებული ვარ, ესენი სასწრაფო წესით არიან გასაკოჭნი და ფსიქიატრიულში გასაქანებელნი. მოდით, დავდოთ ფაქტები, დავიწყოთ ახლად გამომცხვარი პოლიტიკოსიდან, ანა დოლიძიდან, რომელიც აქამდე განათლებულივით გამოიყურებოდა, მაგრამ რათ გინდათ? გახსოვთ, ვანო მერაბიშვილს ციხის კარი რომ გაუღეს და ეგრევე დააბრეხვა, ამ შემოდგომაზე ეს ხელისუფლება უნდა დავამხოო? ამასაც სწორედ ასე დაემართა. აი, საკუთარი თვალით ნახეთ:

„ჩემო კარგო ხალხო, მივიღე გადაწყვეტილება, დავდგე მაჟორიტარად დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში. ვერ დავუტოვებ საქართველოს გია ვოლსკის და მის ამფსონებს, ადამიანს, რომელსაც არავითარი შესაძლებლობა არ აქვს, აქციოს ეს რაიონი ქალაქის ეკონომიკურ-კულტურულ ეპიცენტრად, უპასუხოს 21-ე საუკუნის გამოწვევებს და საჭირო ახალი მუხტი მისცეს ჩვენ ქვეყანას. ან დავრჩებით ვოლსკისთან ერთად ფანრიანი ტელეფონის ეპოქაში, ან შევალთ 21 საუკუნეში“.

არა და არ ჩერდება გოლიათ ვოლსკისთან მებრძოლი, გაუტია და გაუტია:

„დიდუბე-ჩუღურეთი არის ის რაიონი, რომელსაც სხვა ყველა რაიონთან შედარებით, პირადად აქვს განცდილი აყვავებისა და ოქროს ხანა. თამარ მეფემ დიდუბეში გადაიხადა დავით სოსლანთან ქორწილი, რადგან ეს იყო აბსოლუტური წალკოტი. დღეს ამ რაიონს აქვს ბევრად მეტი გამოწვევები და ამ გამოწვევებს ვერანაირად, საკუთარი პოლიტიკური და პროფესიული შესაძლებლობით ვერ უპასუხებს მაჟორიტარობის კანდიდატი გია ვოლსკი. 21-ე საუკუნეში, დიდუბე-ჩუღურეთს, თბილისსა და საქართველოს სჭირდება სულ სხვა, ახალი ტიპის პოლიტიკოსი, ახალი ტიპის ხედვები. ტექნიკური შესაძლებლობებით დღეს ჩვენ გვჭირდება „აიფონ 11“.

აი, ახლა ვზივარ და ვფიქრობ... სად ვოლსკი, სად ერეკლე, სად თამარ მეფე, სად სოსლანი, სად „აიფონი“, სად დიდუბე-ჩუღურეთი და სად პაპაჩემის ყურებიანი ქუდი? ხალხო, ეხლა რო ეგრე უქიქინებენ, ოქტომბერში რაღას იზამენ?!

მეორე ნარცისი, რომელმაც ასევე თავი გამოიჩინა, გახლავთ ალეკო ელისაშვილი. მან ჯერ პოლიტიკური პარტია „მოქალაქეები“ დაარეგისტრირა (სადაც 4 წევრია), შემდეგ კი მოჰყვა ბოდვასა საკვირველსა. პრინციპში, საკვირველიც აღარაფერია, როცა ადამიანმა არ იცის თავისი ზომა, წონა და შესაძლებლობები, ის სამკურნალოა. ალბათ გახსოვთ, ბიძინა ივანიშვილს აქვს არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“, ახლა ამანაც შექმნა „მოქალაქეები“ .

„ჩემთვის სასიამოვნო იყო, დავინახე, რომ ჩემი ეშინიათ. ჩემი ეშინიათ და ამიტომ დაასახელეს დავით სერგეენკო. კვლევებსაც ატარებდნენ და ნახეს, რომ ვიღაც ხარახურას, მაგალითად მამუკა მდინარაძისნაირი ან დანარჩენი პოლიტიკურ ჯართში ჩასაბარებელი ჯართის დაყენების შემთხვევაში, პირველ ტურში წააგებდნენ საბურთალოს. ბიძინა ივანიშვილი იპოდრომზე პარკს გააკეთებს მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ეშინიათ ჩემთან არ წააგონ არჩევნები“.

ესე იგი... მოდით, კარგად დავალაგოთ ელისაშვილის „ბრძნული“ გამონათქვამები: დედაქალაქის ეს სიამაყე ამბობს, ბიძინა ივანიშვილმა რომ გაიგო, საბურთალოზე ალეკო აპირებს კენჭისყრასო, ძალიან შეშინდა, თითქმის შეძრწუნდა და ეგრევე დაიწყო იპოდრომზე პარკის მშენებლობა, ხალხის გულს ასე თუ მოვიგებო. მერე ივანიშვილი დაფიქრდა, კვლავ შეძრწუნდა და თქვა, ხალხის გულის მოსაგებად პარკის აშენება საკმარისი არ იქნება, შეიძლება ალეკოს მაინც ვერ მოვუგო, დავით სერგეენკო უნდა დავაყენო კანდიდატად, მაგის მეტი ვერავინ მოუგებსო.

მეგობრებო, ალბათ გაიგებდით, გიგი უგულავა ცოლს რომ შეურიგდა. ჰო, ეს ის არი, ციხეში ყოფნისას გუკა რჩეულიშვილს რომ გაჰყვა. აი, რატომღაც სულ მეგონა, გიგილო უქალოდ რო დარჩა, ამიტომ გასდის გასქელებული უკანალიდან ბოლი, როგორც მაგის შემოყვანილ ყვითელ „მარშრუტკას“-მეთქი. თურმე ვცდებოდი, მაინც ვერ ისვენებს, მაინცა ბრდღვინავს ტელესტუდიებში და ბოლოს ჭორაობაზეც კი გადავიდა:

„გახარია ვერ იტანს გომელაურს, კალაძეს – ლილუაშვილი, კობახიძე ნახევარი უმრავლესობისთვის გულყრას იწვევს, ყველას ერთად, ადამიანებად არ თვლის ივანიშვილი“.

ხედავთ, როგორი რთული კომბინაციაა? ვინაიდან, გახარია ვერ იტანს გომელაურს, გამოდის, გომელაურიც ვერ იტანს გახარიას. თუ კალაძეს ვერ იტანს ლილუაშვილი, მაშინ კალაძეც ვერ უნდა იტანდეს ლილუაშვილს. ახლა გასარკვევია, გახარია რომ ვერ იტანს გომელაურს და ლილუაშვილი ვერ იტანს კალაძეს, ხომ არ არიან ლილუაშვილი და გახარია დეიდაშვილ-მამიდაშვილები? აქ ერთი მომენტიც იკვეთება: საინტერესოა, ხომ არ ურევია ამ „ვერატანაში“ ბერა ივანიშვილის ხელი? ვნახოთ, იმედია, ამ საკითხს ჩაჯვი გვარამია გამოიძიებს და შედეგებსაც დადებს.

სხვათა შორის, გიჟურ წინასაარჩევნო პერიპეტიებში ერთი სერიოზული კაციც გამოერია (მთლად გიჟურად არ არი საქმე), ბადრი ჯაფარიძემ, მამუკა ხაზარაძის ხელის მომკიდემ განაცხადა:

„30 წლის წინ, როდესაც ხალხის მხარდაჭერით მოვედი პოლიტიკაში, მაშინ შევძელით კომუნისტური სისტემის დამარცხება. სამწუხაროდ, შემდეგ სამოქალაქო ომმა ქვეყანა დაქცევის პირას მიიყვანა. ეს პროცესი მწვავედ მივიღე და გადავწყვიტე, ამ ყველაფრის შესაცვლელად სხვა პლატფორმიდან მებრძოლა“.

ა, კაცი, როდესაც სამოქალაქო ომმა ქვეყანა დაქცევის პირას მიიყვანა, ეს პროცესი ძალიან მწვავედ მიიღო და გადაწყვიტა, ბანკი გაეხსნა, რომლის საშუალებითაც ჩააცვა პოლიციას, ჯარს, გაარემონტა სკოლები, თეატრები, ეკლესია-მონასტრები, ააშენა უნივერსიტეტები, დენდროლოგიური პარკები... უი, ეგ სხვა იყო? ამდენი რაღაცები სხვამ გააკეთა? ჯაფარიძე ბინებიდან ხალხს ასახლებდა და ტვირთის გამოტანაში ეხმარებოდა? ჰოოო, ნუ, ეგეც ხომ ქველმოქმედებაა? ჩემი აზრით, როცა გიორგი (ჯუნიორ) ვაშაძე გახდება პრემიერ-მინისტრი, ბადრი ჯაფარიძე აუცილებლად უნდა დაინიშნოს განსახლების მინისტრად. რაც შეეხება ჯუნიორს, ის მზადაა, დაგვდოს პატივი და იყოს ჩვენი პრემიერ-მინისტრი. მეტიც, ის მზადაა, იყოს სულ სხვანაირი, უფრო გამჭვირვალე, უფრო წმინდა, უფრო კამკამა პრემიერ-მინისტრი, რომელსაც კაბინეტიც კი არ ექნება.

ვერ დაგიმალავთ... ჯუნიორს ალბათ ხელს შეუშლის შალვა ნათელაშვილი, რომელიც ასევე მზადაა, დაგვდოს პატივი და იტვირთოს პრემიერ-მინისტრობა:

„მზად ვარ, ავიღო პრემიერის ფუნქცია“.

როდესაც ინგა გრიგოლიამ ჰკითხა შალვა ნათელაშვილს, საკუთარ გამარჯვებაში რატომ ხართ ასერიგად დარწმუნებულიო, მან უპასუხა: იმიტომ, რომ სამყაროში ყველაფერი ტრიალებს, ყველაფერი იცვლება, კოსმოსი, პლანეტები, მზე, ვარსკვლავები, მარსი, ვენერა, იუპიტერიო. პრინციპში, მართალია „ლეიბორისტების“ ლიდერი, რაკი დედამიწა მრგვალია, მან უნდა აიღოს პრემიერ-მინისტრის ფუნქცია. აი, სამაგიეროდ ეკა ბესელიაა ძალზედ თავმდაბალი, პრემიერობას არ უმიზნებს:

„თბილისის ნებისმიერ ოლქში მოვიგებ არჩევნებს დიდი უპირატესობით, მაგრამ არ მინდა ოპოზიციის საწინააღმდეგო ნაბიჯი გადავდგა, ამიტომ კენჭს ვიყრი საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილაში, სადაც გამარჯვება გარანტირებული მაქვს“.

სხვათა შორის, პრემიერობა „უნდებლარიან“ ნინო ბურჯანაძესაც და თან იმუქრება, თუ “ქართული ოცნება” გამიკეთებს იგივეს, რაც გამიკეთა 2016 წელს, დავალეწავ თავზე ყუთებსო! ქალბატონი ბურჯანაძე აქვე დასძენს, ახლა კი დროა, რომაო, ამ არჩევნებში ხმა მივცეთ მომავალ თაობასო, ანუ მე ამირჩიეთო.

კიდევ ერთი საიდუმლო უნდა გაგიმხილოთ... მე მიყვარს მომავალი თაობა, თუნდაც ის მოდიოდეს ვასილ პავლეს ძე მჟავანაძის დროიდან. რა, არ გინახავთ ახალგაზრდა, მოხუცივით რომ იქცევა? ასევე არსებობენ მოხუცები, ახალგაზრდებივით რომ იქცევიან. ამიტომ ვერ ვამტყუნებ ბურჯანაძეს, ის არ გამოიყურება მომავალ თაობასავით, მაგრამ არის მასში რაღაც „მომავლური“. დიახ, ასეთივე კატეგორიას განეკუთვნება პაატა ბურჭულაძე, რომელიც ამბობს:

“მე თავს მოვიაზრებ გაერთიანებულ ოპოზიციაში, რომელიც ძალიან დიდი გაერთიანებაა”.

კარგი იქნებოდა, ამისთვის ვინმეს ეთქვა, 30-კაციანი გაერთიანება უკვე დაიშალაო, მაგრამ არაუშავს, თუ მომავალს ოპტიმისტურად შევხედავთ, არაფერიც არ დაშლილა, ჩაივლის არჩევნები და ისევ გაერთიანდებიან.

აბა, ხალხო, ესენი სამი თვით ადრე ეგრე უქიქინებენ, ოქტომბრის ბოლოს რაღას იზამენ? ფუუუჰ!!!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# სიკვდილის მოციქულები და დამკრძალავ ბიუროებად ქცეული სამი ტელევიზია – „ჭუტავიზია“, „ჩაჯვივიზია“ და „კეზერავიზია“

ერთი ნაცნობი მყავს, დამკრძალავი ბიუროს დირექტორია. ყოველი შეხვედრისას, როცა ვეკითხები – როგორ ხარ, ბიჭო? ხვნეშით მპასუხობს – ეეეჰ, ჩავარდა სეზონი, ადრე რო იყო, იგეთი მუშაობა აღარ არი.

ესე იგი, გაიგონეთ, ხომ? ამ ქვეყანაზე ყველას თავისი საწუხარი აქვს, დამკრძალავი ბიუროს დირექტორი იძახის, საქართველოში სიკვდილიანობა შემცირდა, სააკაშვილის დროს უფრო კაი მუშაობა იყოო. ეს ტიპი თავისი საჭვრეტელიდან მართალია, როგორი პროფესიაც აქვს, ისე უყურებს და აფასებს მოვლენებს.

საქართველოში წესად იქცა აქტუალური საკითხების პრივატიზება... უფრო სწორედ, იმ თემების პრივატიზება, საიდანაც ახვრები სარგებელს ნახულობენ. აი, ამჟამად ჩვენ ვართ მოწმენი, თუ როგორ ხდება ერთი გარკვეული ხროვის მიერ ტრაგედიების მითვისება, ცრუ ჭირისუფლობა, ყალბი ცრემლდენა, მოჩვენებითი ვიშ-ვიში, ვითომ ტკივილი, ვითომ, ვითომ და ბოლომდე ვითომ. გამოდიან ტელევიზორში, გვიყვებიან რაღაც საშინელ ზღაპრებს, თავიანთ ვერსიებს, არც რომ ლოგიკაში ჯდება და არც რომ არაფერი აქვს საერთო სიმართლესთან. დგამენ შოუებს, აჩვენებენ შვილმკვდარ მშობლებს, გაგიჟებულებს, ჭკუიდან გადასულებს, დასდევენ მიკროფონებით, იღებენ, როგორ ღმუიან გამწარებულნი... უთანხმდებიან, ამ საღამოს სტუდიაში მობრძანდით, იქ ვილაპარაკოთ, თუ როგორ მოკლა სისტემამ თქვენი შვილიო, შეიძლება ამ საქმეში ბიძინა ივანიშვილია გარეული, ან კიდევ ბერაო. თუ გამწარებულმა მშობლებმა უარი თქვეს ჩაჯვთა შოუებში მონაწილეობაზე, იქით გადაუვლიან, გაანადგურებენ, ხელისუფლებას შეეკარით, შვილი გაყიდეთო. სწორედ ასე მოხდა ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის შემთხვევაში და ვერც მიაღწიეს საწადელს, არ გამოუვიდათ, ვერ აქციეს ეს ტრაგედია სისტემურ დანაშაულად, ვერ გაუთანაბრეს სანდრო გირგვლიანის საქმეს, ვერ მიაბეს ბიძინა ივანიშვილის ოჯახს და ვერც ვერასდროს მიაბამენ. შაქარაშვილის ცხედარი არც კი იყო გაციებული, მოხდა მეორე ტრაგედია – ფონიჭალაში მცხოვრები 23 წლის თამარ ბაჩალიაშვილი თეთრიწყაროს ტყეში გარდაცვლილი იპოვეს. აი, აქ კი „გაუმართლათ“ ლეშიჭამია ე.წ. ჟურნალისტებს, ანუ საკანალიზაციო არხებს („ჭუტავიზია“, „კეზერვიზია“, „ჩაჯვივიზია“).







გაუმართლათ-მეთქი ლეშიჭამია სვავებს... თუ შაქარაშვილის შემთხვევაში ჭირისუფლებმა გონივრული გზა აირჩიეს და არ აჰყვნენ სვავების წადილს, ყველაფერი ხელისუფლებისთვის, ბიძინა ივანიშვილისთვის ან რომელიმე სახელმწიფო მოხელისთვის გადაებრალებინათ, ანუ „შეეტენათ“, ბაჩალიაშვილის ჭირისუფლებმა ეგრევე დაასხეს მათ წისქვილზე წყალი – გოგონას ცხედრის პოვნისთანავე განაცხადეს, რომ არ ენდობიან გამოძიებას, არ ენდობიან ხელისუფლებას და... რაც მთავარია, გარდაცვლილის მამა იმავე საღამოს, რამდენიმე საათში ჩაერთო ეკა კვესიტაძის („ჩაჯვივიზიის“) გადაცემაში. აქ საგანგებოდაა აღსანიშნავი კვესიტაძის დაღრეჯილობა – ამ არსებას სახეზე დასთამაშებდა რაღაც უცნაური მწუხარება, რომელიც პერიოდულად უცნაურ ბედნიერებაში



გადადიოდა. გინდათ, გითხრათ, რას ნიშნავს უცნაური მწუხარება უცნაურ ბედნიერებასთან ერთად? ეს არის შეგრძნება, როცა სახე ფორმალურად ტირის, ხოლო გული კი იცნის იმის იმედით, რომ შეიძლება მორიგი ტრაგედია მაინც აღმოჩნდეს ხელისუფლებისთვის თუ ბიძინა ივანიშვილის ოჯახისთვის საბედისწერო. ამას კახეთში ერთი წინადადებით აფიქსირებენ ხოლმე – თეთრი კბილი, შავი გული.

კარგი, შევეშვათ ამ თემას ამ კუთხით, რა ქნეს, რა გააკეთეს ამ დროს ლეშიჭამია ე.წ. პოლიტიკოსებმა, ე.წ. ჟურნალისტებმა და მათთან გათანაბრებულმა პირებმა? როგორც უკვე გითხარით, დიდად გაიხარეს... თუმცა დამწუხრებული სახეებით წარმოგვიდგნენ და დაიწყეს თავიანთებური გამოძიება. როგორც ვიცი, როგორც გამიგონია, ესე თუ ის დანაშაული ჟურნალისტური ხერხებით რომ გამოიძიო, ჯერ ჟურნალისტიკის ანა-ბანაში უნდა ერკვეოდე (რათა შენს მიერ გადმოცემული ამბავი დამაჯერებელი იყოს), შემდეგ კი იურისპრუდენციაშიც უნდა იყო გათვითცნობიერებული. კიდევ ბევრი რამეა საჭირო, მაგრამ ეს ორი კომპონენტი აუცილებელია. ვინაიდან, მეთუთუნე ჭუტას, ყა-



ჩალ კეზერას და ჩაჯვი გვარამიას ტელევიზიებში ძირითადად პოლიტიკურად მოტივირებული ტიპები მუშაობენ და არც ჟურნალისტური განათლება გააჩნიათ, ეს ე.წ. ტელევიზიები გადაიქცნენ დამკრძალავ ბიუროებად, სადაც პირდაპირ აჩვენებენ დაკრძალვის, ტირილისა და უბედურების პროცესებს... უკაცრავად და პირდაპირ ეთერში დაარბენინებენ კუბოებს. მეტიც, ესენი გადაიქცნენ სიკვდილის მოციქულებად.

ვიცი, როდესაც რაღაცას ვამბობ, ანუ ვიღაცას რაღაცაში ვადანაშაულებ, ფაქტებიც უნდა დავდო. აი, მე დღევანდელ ე.წ. მედიაშაშუალებებს (სამ ე.წ. ტელევიზიას და მის ე.წ. წამყვანებს) ვადანაშაულებ კრეტინიზმში, მეპატრონეების ინტერესების გატარებასა და სახელმწიფოს წინააღმდეგ პროვოკაციების მოწყობაში. მათი საბოლოო მიზანი კი გახლავთ საზოგადოებრივი აზრის დამახინჯება წინასაარჩევნოდ, ანუ „ტვინების“ შეტრიალება-გაუკუღმართება, რათა არ გაიმარჯვოს „ქართულმა ოცნებამ“. დიახ, მათი მიზანია, ხელისუფლებაში დააბრუნონ მკვლელები, ყაჩაღები, სრული არარაობები. გარდა ამისა, ეს სიკვდილის მოციქულები, რომლებიც მუშაობენ დამკრძალავ ბიუროებში, გამოკიდებულნი არიან რეიტინგს – უნდათ, ძალიან ბევრი მაყურებელი ჰყავდეთ და ამის გამო პერიოდულად ერთმანეთიც ეზიზღებათ. მაგალითად, თუ ჩაჯვი გვარამიას უბორნიამ გაასწრო ჭუტა წერეთლის უბორნიას, ეს უკანასკნელნი გამოთქვამენ უკმაყოფილებას თავიანთებურად – იწყებენ კბენას და ღრენას. ამის საუკეთესო მაგალითად გამოდგება ე.წ. ჟურნალისტის (ჩაჯვი გვარამიას დაქალის) ელიკო კილაძისა და ინგა გრიგოლიას წაკამათება სოციალურ ქსელში: ესე იგი, კილაძე ედავება გრიგოლიას, ბოლო დროს მირიან ნიკოლაძის (გარდაცვლილ გიორგი შაქარაშვილის ბიძა) პიარით რომ დაკავდი, ეგ რა პონტიაო? ეგ კაცი მე „ბოტასას“ მეძახის და შენ კიდე პირდაპირ ეთერში აგულავებო... კარგი, ეგრე იყოს, მაგრამ იცოდე, ავთო წერეთლის სასამართლო პროცესს დაველოდებიო. თანაც მე და გვარამია რომ შაქარაშვილის საქმეს ვიძიებთ ჟურნალისტურად, ჩვენ რომ დავდივართ ხევ-ხუვებში, ჩვენს ნაკვალევზე შენ რაღას დადიხარო? დასაწყისში გითხარით, ამ ქვეყანაში მოვლენების პრივატიზების მცდელობას აქვს-მეთქი ადგილი... აბა, როგორ? ელიკო კილაძემ გამოძიება დაიწყო და ინგა გრიგოლია ვინაა, მის ნაკვალევზე რომ იაროს, მისი გამოძიებული საქმეებით რეიტინგი აკრიფოს? აი, ამაშია საქმე, გარდაცვლილები და ჭირისუფლები ვის აინტერესებს, აქ ხომ მთავარი „ყურებადობაა“?!

ამ ყველაფერს აქვს თუ არა საზღვარი? უფრო სწორედ, ამდენ მარაზმს ექნება თუ არა დასასრული? მე პირადად დარწმუნებული ვარ, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ეს ყველაფერი საპნის ბუშტივით გაქრება. თუმცა დღესაც შეუძლია ხელისუფლებას, ამ საკითხს კანონით მიუდგეს და ქვეყანაში ლეშის ჭამა აკრძალოს. კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მიღებული აქვს „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, სადაც (მუხლი 35) ვკითხულობთ:

„მაუწყებელმა არ უნდა გადაიღოს ან გაავრცელოს მასალა, რომელშიც ასახულია უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებულები ან პიროვნება პირადი ტრაგედიის ან მწუხარების დროს, მათ შორის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ან დაკრძალვაზე, როდესაც ეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ხელყოფს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიღებულია პირის თანხმობა. პირის გარდაცვალების შემთხვევაში, გადაღებასა და მასალის გავრცელებაზე საჭიროა ოჯახის წევრების თანხმობა.

ტანჯვისა და მწუხარების ამსახველი საარქივო მასალის (დანაშაულის ჩათვლით) გამოყენებისას მაუწყებელი უნდა შეეცადოს, შეამციროს ის პოტენციური ტრავმა, რომელიც შესაძლოა ამ მასალამ მიაყენოს მასში ასახულ პიროვნებას და/ან მის ნათესავებს. იგივე ეხება ინსცენირებულ რეკონსტრუქციებსა და ფაქტებზე დაფუძნებულ პროგრამებს“.

ხედავთ? თურმე კანონი გვქონია, მაგრამ ამის შესახებ ბევრმა „განსწავლულმაც“ კი არაფერი იცის.შეიძლება ზოგიერთი „განსწავლული“ შემომედავოს, ეს კანონი, ანუ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ რეკომენდაციული ხასიათისაა, სავალდებულო არ გახლავთო. არაფერიც, კოდექსის პირველივე მუხლი ბრძანებს:

„მაუწყებლობის პრინციპები განსაზღვრავს მაუწყებლის პროფესიულ სტანდარტებს თავისუფალ, პლურალისტურ და დემოკრატიულ სახელმწიფოში და სავალდებულოა შესასრულებლად“.

აჯობებენ თუ არა ესენი ბიძინა ივანიშვილს? რა თქმა უნდა, ვერა. ერთხელ ერთმა ახალგაზრდა კრიტიკოსმა, ნოდარ დუმბაძეს რომ შეუტია, ასეთი პასუხი მიიღო: „შვილო, ეხლა ისე ვარ, საკუთარ ფეხებს მე თვითონ თუ მოვიჭამ, თორემ სხვა ვერავინ მომჭამს“!

ჰოდა, ბიძინა ივანიშვილი საკუთარ ფეხებს თვითონ თუ მოიჭამს, თორემ ამ სიკვდილის მოციქულებმა (საკუთარ სამარეებს რომ ითხრიან) ვის რა უნდა მოსჭამონ?!







**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# დამფუძნებელი

დღეს ნაკლებად ლაპარაკობენ ჩვენი ქვეყნის და საზოგადოების ღირსეულ ადამიანებზე, ისეთებზე, რომლებიც ქმნიდნენ და ქმნიან ჩვენი ქვეყნის ისტორიას და თანამედროვეობას.

ახლა სწორედ ასეთ ადამიანზე მინდა მოგითხროთ. კაცზე, რომელიც თითქმის 30 წელიწადი ხელმძღვანელობდა იოსებ ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტს, კაცზე, რომლის სახელს უკავშირდება არაერთი პროგრესული სიახლე ქართულ მედიცინაში. კერძოდ, კონტრაცეპციის, ლაპაროსკოპიული, ხელოვნური განაყოფიერების ტექნოლოგიების დანერგვა, არა მხოლოდ საქართველოში პირველად, არამედ, რეგიონში და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ეს კაცი გახლავთ რეპროდუქტოლოგიის დარგის დამფუძნებელი, რომლის ძალისხმევით, საქართველო გახდა პირველი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც რეპროდუქტოლოგია ოფიციალურად ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამედიცინო დისციპლინად.

მას შემდეგ საქართველოს რეგიონებშიც შეიქმნა რეპროდუქციული სამსახურების ქსელი. დაიწყო დისერტაციების დაცვის სპეციალიზებული საბჭოს ფუნქციონირება, დაარსდა პირველი რეპროდუქტოლოგიური კათედრა, მომზადდა რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეროვნული პროგრამები და ა.შ.

დიახ, ყველაფერ ამის ინიციატორი და სულისჩამდგმელი გახლავთ სწორედ პროფესორი არჩილ ხომასურიძე, უწესიერესი კაცი, რომელსაც არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი და არასდროს წარმოაჩენს თავის პერსონას განსაკუთრებულად. მეტიც, იტყვის ხოლმე, ბევრი არაფერი გამიკეთებიაო.

თუმცა გაკეთებული საქმეები, უამრავი ახალი სიცოცხლე და ათასობით ბედნიერი ოჯახი ამაზე თავად ღაღადებენ, არავინ არაფერი რომ არ თქვას.

ბატონი არჩილისა და მისი თანამებრძოლების, მართლაც გმირი მედიკოსების დაუღალავი შრომით განხორციელებული ღონისძიებების შედეგები დღევანდელ მწვავე დემოგრაფიულ სიტუაციაზე, თავისთავად ცხადია, ისახება. სტატისტიკის მიხედვით, ბოლო 25 წლის განმავლობაში 10-ჯერ და მეტად შემცირდა ხელოვნური აბორტების რიცხვი — უშვილობის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

უშვილო წყვილებში საგრძნობლად და მნიშვნელოვნად გაიზარდა ნაყოფიერების მაჩვენებელი.

საქართველოში უშვილო ოჯახებში დაბადებულ ბავშვთა რაოდენობამ წელიწადში 1000 გადააჭარბა.

მაგრამ საინტერესო ფაქტი: 2000 წელს დაიბადა პირველი „სინჯარის ბავშვი“. ის უკვე 20 წლის ვაჟკაცია, ჩვენი თანაქალაქელი, ჩვენი თანამემამულე.

მას შემდეგ, როგორც გითხარით, 1000-ობით პატარა გაჩნდა „სინჯარაში“.

1984 წლიდან, ანუ იმ დროიდან, რაც არჩილ ხომასურიძე პროფესორ იოსებ ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტს სათავეში ჩაუდგა, დაიწყო განსაკუთრებული ეტაპი არა მხოლოდ, კერძოდ, ინსტიტუტის, არამედ ქართული მედიცინის ისტორიაში, რადგან ბატონი არჩილის სახელს, ზემოთ ჩამოთვლილ მიღწევებთან ერთად, უკავშირდება სარძევე ჯირკვლის, საშვილოსნოს ყელის სკრინინგის, მედიკამენტოზური აბორტის — მიფეპრისტონით (პრეპარატი, რომელიც გამოიყენება ორსულობის შეწყვეტის მიზნით), უმტკივნეულო მშობიარობის და სხვა სიახლეების დანერგვა საქართველოში.

მოკლედ რომ ვთქვათ, იმდენი სიახლის, ნოვაციის დამფუძნებელია არჩილ ხომასურიძე, რომ სწორი იქნება, მის მთელ საქმიანობას ერთ დიდებულ სიტყვაში მოვუყაროთ თავი — დამფუძნებელი!

როგორც ვიცით, მსოფლიოში პირველი რეპროდუქტოლოგიური ინსტიტუტი საქართველოში ცნობილმა ექიმმა და მეცნიერმა, პროფესორმა იოსებ ჟორდანიამ დააარსა 1958 წელს და ამით მან 30 წლით გაუსწრო მაშინდელ ეპოქას.

1962 წელს იოსებ ჟორდანიას სახელი ეწოდა მის მიერ დაარსებულ ინსტიტუტს.

დღეს რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტს ბატონი არჩილი ხელმძღვანელობს.

ინსტიტუტმა ახალი სუნთქვა 2014 წლის 14 იანვარს დაიწყო იოსებ ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის ყოფილი, მსოფლიო დონის სპეციალისტების ინიციატივით, არჩილ ხომასურიძის ხელმძღვანელობით.

უნდა ითქვას, რომ დღეს ბატონი არჩილ ხომასურიძე გახლავთ დარგის უძლიერესი სპეციალისტი. იგი არის საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რეპროდუქტოლოგიისა და მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, რეპროდუქტოლოგთა საერთაშორისო აკადემიის წევრი, საბუნებისმეტყველო მედიკო-ბიოლოგიური და სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ბატონი არჩილი სოლიდური ასაკისაა, მაგრამ ისე მხნედ და სიმპათიურად გამოიყურება, რომ იტყვით, ეს კაცი ასაკსაც ამარცხებსო, თუმცა ეს იერი, გენეტიკასთან ერთად, აღმოჩნდა მისი ცხოვრების ჯანსაღი წესის დამსახურებაც — ის ყოფილი კალათბურთელი და ჩოგბურთელია. სპორტი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

რაც ეხება ინსტიტუტის დღევანდელ საქმიანობას, როგორც მიხვდით, ინსტიტუტის ძირითადი მიმართულება ქალისა და მამაკაცის უშვილობის დიაგნოსტირება და მკურნალობაა, მაგრამ ეს ხომ ფართო სპექტრს მოიცავს?! — აქ ტარდება მაღალი რისკის ორსულთა მონიტორინგი, გინეკოლოგიურ-ენდოკრინული დარღვევების კვლევა, დიაგნოსტირება და მკურნალობა რეპროდუქციული ასაკის ქალბატონებსა და გოგონებში. მკურნალობენ მენსტრუაციული ციკლის მოშლილობას, ჭარბთმიანობას, აკნეს, ინსულინრეზისტენტობას, მეტაბოლურ დარღვევებს, ჰორმონალურ დარღვევებთან დაკავშირებულ ჭარბ წონას, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლას, საშვილოსნოსმიერ დისფუნქციურ სისხლდენებს, საკვერცხეების პოლიკისტოზს, კლიმაქტერულ სინდრომს. კლინიკაში მიმდინარეობს ყველა სახის გინეკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტირება და მკურნალობა — ორგანოების ანთებითი დაავადებების, საშვილოსნოს მიომების, ენდომეტრიოზის, პოლიპების, საკვერცხის ცისტების და ა.შ. ხდება მამაკაცთა შარდ-სასქესო ორგანოების მწვავე და ქრონიკული დაავადებების, სხვადასხვა სახის სექსუალური დარღვევების მართვა.

არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიური ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტები მაინც გახლავთ პაციენტთა ინტერესების დაცვა, პროფესიონალიზმი, გულისხმიერება და ყურადღება, რაც, პირველ რიგში, ხელმძღვანელის — არჩილ ხომასურიძის ძირითადი მითითება და მიმართულება გახლავთ.

არჩილს ხომასურიძის პრიორიტეტი პაციენტია.

ამას წინათ ინსტიტუტის დერეფანში ორსულს გული წაუვიდა. ბატონი არჩილი მაშინვე კაბინეტიდან გამოვარდა და თავად დაიწყო მისი მოსულიერება და მოვლა.

აღსანიშნავია, რომ პროფესორი პაციენტს ყოველთვის ეუბნება სიმართლეს და არასდროს აძლევს მას ცრუ იმედებს კომერციული მოგების მიზნით.

„ქართული მედიცინა დღეს მძიმე ავადმყოფია, — ამბობს ბატონი არჩილი, აღვირახსნილი კომერციალიზაცია მიმდინარეობს, რასაც თან ახლავს ექიმთა განათლების სისტემის დაკნინება, რაც ამ სფეროში მრავალ პრობლემას ქმნის. თუმცა, იმედი მაქვს, რომ ეს „სნეულება“ განიკურნება, მისი განკურნება კი პროფესიონალიზმის და პატრიოტების ვალია“.

როგორც გითხარით, არჩილ ხომასურიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რეპროდუქტოლოგიისა და მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელია. მნიშვნელოვანია მისი დამოკიდებულება სტუდენტებისადმი. ის განსაკუთრებული სიყვარულით და პასუხისმგებლობით ცდილობს ახალგაზრდებს გადასცეს ცოდნა და გამოცდილება, რაც წლების მანძილზე თავად დაუგროვებია. — ისინი არიან ჩვენი გზის გამგრძელებლებიო, — ამბობს ბატონი არჩილი.

ასეა ზოგადადაც: თუ ჩვენ არ დავაფასეთ ის, რასაც აკეთებს და რაც გაუკეთებია ჩვენს წინამორბედს, ჩვენს საქმიანობას აზრიც დაეკარგება, ვერც განვვითარდებით და ვერც გავგრძელდებით, რაც გამიზნულ თვითმკვლელობას ნიშნავს.

დღეს, როცა სამართლიანად გვიხარია, რომ კოვიდ-19-ისგან ჩვენმა მართლაც სახელოვანმა მედიკოსებმა ასობით ადამიანი გადაარჩინეს, არავინ ლაპარაკობს, რომ რეპროდუქტოლოგიურ კლინიკებში, სადაც, ძირითადად, ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლები მოღვაწეობენ, უამრავი ახალი სიცოცხლე ჩნდება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამაში უდიდესი წვლილი და დამსახურება არჩილ ხომასურიძეს მიუძღვის, კაცს, რომელიც მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, კვლავ ენერგიულად აგრძელებს რეპროდუქტოლოგიის მესაჭეობას საქართველოში — ქართველების (და არა მარტო) დაბადებისა და გამრავლებისთვის ბრძოლას და მოღვაწეობას.

ასეთ ადამიანებს უნდა ვაფასებდეთ.

ასეთი ადამიანები არიან სწორედ პიროვნებები — ქვეყნის იმედები, ბურჯი და ცხოვრების ორიენტირები.

დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ ბატონ არჩილს — გულისხმიერ და პროფესიონალ ექიმს, შესანიშნავ უფროს მეგობარს და საუკეთესო ადამიანს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18





**P.S.** მადლობას ვუხდით მედიცინის აკადემიურ დოქტორს, ექიმ-რეპროდუქტოლოგს, კლინიკურ დირექტორს, ქალბატონ **ლალი ფხალაძეს** სტატიის მომზადებაში დახმარებისთვის.

# დღის წესრიგი 21-ე საუკუნისთვის

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში "კულისებს მიღმა" შედგა XXI ს-ის "მდგრადი განვითარების" გეგმა სახელწოდებით **Agenda 21** (დღის წესრიგი 21-ე საუკუნისთვის), რომელიც პლანეტაზე ცხოვრების ახალი წესის დანერგვითა და ეკოსისტემის გადაფორმატებით უნდა დაგვირგვინდეს. მოცემული გეგმის მიხედვით პლანეტის გარდასახვისთვის შემუშავებულია სხვადასხვა სტრატეგიული და ტაქტიკური ნაბიჯები, რომლებსაც ეტაპობრივად და შესაძლებლობისდა მიხედვით განახორციელებენ. ასე რომ, დღეისთვის უკვე არსებობს მომავლის კონცეფცია, რომელიც ზეეროვნული თანხმობისა და მმართველობის ყველაზე ოდიოზურ ჯგუფთა წიაღში იშვა. შემდეგ მან გაერო-ს ინსტიტუტებში მიიღო ლეგიტიმაცია და ამგვარად, მოქმედებისთვის სახელმძღვანელო



პროგრამა გახდა. ყველა ქვეყანა, ვინც ამ კონცეფციას ხელი მოაწერა, შესაბამისად, ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს მის განხორციელებაში. მდგრადი განვითარება წარმოადგენს მოქმედების გეგმას და ხორციელდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მთელი დედამიწის, წყლის მთელი რესურსების, ყველა მინერალის, ყველა მცენარის, ყველა ცხოველის, ყველა მშენებლობის, წარმოების ყველა საშუალების, ყველა ენერგიის, ყოველგვარი განვითარების, მთელი ინფორმაციის და ადამიანთა ყოველი არსების ინვენტარიზაციისა და კონტროლის მიზნით. საკვანძო სიტყვებია – ინვენტარიზაცია და კონტროლი. 21-ე საუკუნის დღის წესრიგს არაფერია დაპირისპირებული, მას კონკურენტი არ ჰყავს (ანუ არცერთ მსხვილ სტრუქტურას ან სახელმწიფოს საკუთარ თავზე არ აუღია მსოფლიო ხალხებისთვის შეეთავაზებინა კაცობრიობის განვითარების რაიმე ალტერნატიული იდეა (გარდა ცალკეული ხალხური ინიციატივებისა), რომელიც დაეფუძნებოდა ვითარების სრულიად მომცველ ანალიზს). დღის წესრიგთან ერთად მაშინვე მიღებულ იქნა რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაცია გარემოსა და განვითარებასთან დაკავშირებით. **Agenda 21**-ს ლამაზ და მომხიბლავ გარსს თუ მოვაცილებთ და გავაანალიზებთ მის არსს იმის გათვალისწინებით, საიდან მომდინარეობს ინიციატივა, მეტ-ნაკლებად გასაგები გახდება, რომ მისი მიზნები გულისხმობს:

– ეროვნული სუვერენიტეტის დასასრულს: ყველა სახელმწიფო – მხოლოდ ზეეროვნული ინსტიტუტების (მაგ, გარო-ს ეგიდით შექმნილი ინსტიტუტების) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გამტარებლები არიან. შემოღებული იქნება საყოველთაო დაგეგმარება და ყველა რესურსის მართვა, რომლებიც მოიცავენ: ეკოსისტემებს, უდაბნოებს, ტყეებს, მთებს, მარილიან და მტკნარ წყლებს, სოფლის მეურნეობას, სოფლის მოსახლეობის განვითარებას, ბიოტექნოლოგიებს, სურსათის გადანაწილებას და ასე შემდეგ. სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს ყველა ბიზნეს და ფინანსურ რესურსთა როლი ზეეროვნული სამართლებრივი აქტების შესაბამისად. პოტენციალური განხილვადი შესაძლებლობა კერძო საკუთრებაზე უარის თქმა. "საზოგადოების უჯრედის", ანუ ოჯახის სრული რესტრუქტურიზაცია. ბავშვებს აღზრდის სახელმწიფო. ადამიანებს ეტყვიან, თუ რაში მდგომარეობს მათი სამუშაო. არსებითი შეზღუდვა ყოველგვარ საზოგადოებრივ მოძრაობაზე. დასახლებული ზონების შექმნა ადამიანებისთვის. მიწების გათავისუფლება ადამიანური საცხოვრებლისგან (ველური ბუნების აღორძინება), ადამიანების მასობრივი იძულებითი გადასახლება მათთვის სპეციალურად შექმნილ ზონებში. განათლების დონის გეგ-



მაზომიერი დაქვეითება. მასობრივი გლობალური დეპოპულაცია, ეს არის პოსტდემოკრატიული, პოსტინდუსტრიული საზოგადოების მშენებლობა. ოცდამეერთე საუკუნის დღის წესრიგის ლეიტმოტივი გახდა ეკოლოგიის თემა: პლანეტა დედამიწა უნდა ვიხსნათ კაცობრიობისგან, რომელიც მტაცებლურად მოიხმარს მის განუახლებელ რესურსებს, აჭარბებს განახლებადი რესურსების გამოყენების ლიმიტებს, საკმაოდ ბევრს აბინძურებს ბუნებას და აფუჭებს კლიმატს.

ალექსანდრე კინგი და ბერტრან შნაიდერი („პირველი გლობალური რევოლუცია: რომის კლუბის საბჭოს მოხსენება“): „ახალი მტრის ძიებაში, რომელსაც შეეძლო ჩვენი გაერთიანება, მივედით იდეამდე, რომ გარემოს დაბინძურება, გლობალური დათბობის საშიშროება, წყლის უკმარობა, შიმშილი და მსგავსი მოვლენები პასუხობენ მტრის ყველა იმ პირობას რომლის მიხედვითაც... რეალური მტერი – თვით კაცობრიობაა“. თუკი პროცესებს დინამიკაში შევხედავთ, შეიძლება შევამჩნიოთ, რომ ამერიკა ამ ბოლო დროს გამოიყენება ამერიკისავე გასანადგურებლად. კიდევ ერთხელ ღირს განმეორება, რომ გლობალიზაცია შეიძლება ვითარდებოდეს სხვადასხვა სცენარით. ერთპოლარულ სამყაროზე უარის თქმა არ ცვლის „კულისებს მიღმა“ მდებარე ელიტის სურვილს სრული ძალაუფლება მოიპოვოს მასზე. პრინციპში, „ელიტისთვის“ მნიშვნელობა არა



აქვს როგორი იქნება კონტროლის ფორმა, მათთვის თვით კონტროლია მნიშვნელოვანი. მეტიც, მმართველობის ხელში ჩაგდების დროს, „ფოსტის, ტელეფონის და ტელეგრაფის“ აღება მაშინ უფრო მარტივია, თუკი ისინი ერთ ადგილზე არიან კონცენტრირებულნი, რაც ყოველთვის გარკვეულ საშიშროებას წარმოადგენს, ვიდრე მაშინ, როდესაც ქალაქის სხვადასხვა კუთხეებში არიან გაფანტულნი. თუკი არსებობენ სუპერსახელმწიფოები, რომლებიც ეკონომიკურად, პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით შემძლენი არიან წინააღმდეგობა გაუწიონ გლობალურ მსოფლიოს, რომლის მშენებლობა გამალებულად მიმდინარეობს, მსოფლიო დიქტატურა შეიძლება ვერ დამყარდეს, ამიტომაც, სუპერსახელმწიფოების განადგურება მსოფლიო დიქტატურის დაფუძნების საკვანძო მომენტია. დისტანციური გადახდებისა და საარსებო მინიმუმის შემცირება (რაც ისედაც მცირეა), ბიუჯეტის დეფიციტის მომიზეზებით ინდექსაციაზე უარის თქმა, ტარიფების ზრდა და ასე შემდეგ სახელმწიფოს მიერ ამერიკული ფასიანი ქაღალდების შესყიდვა, რომელიც არანაირად არ აუმჯობესებს ხალხის მდგომარეობას და ხელს არ უწყობს ეკონომიკის განვითარებას, – ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ **Agenda 21**-ის ხელმომწერი სახელმწიფოს განსაზღვრული სახელისუფლებო წრეები **Agenda 21**-ის დირექტივებს ასრულებენ, რომელიც ჭარბი მოსახლეობის ბალასტისგან გათავისუფლებას ვარაუდობს. ამას შეიძლება დავუმატოთ გადასახადების, უძრავი ქონებისა და მიწის ნაკვეთების გადასახადების ზრდა, რომელიც მიმართულია მიწების გამოთავისუფლებისა და მოსახლეობის გადასახლების გეგმის განხორციელებისკენ, რომელიც ისევ და ისევ „მდგრადი განვითარების“ გეგმით უნდა წარმოებდეს. ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, უპირველეს ყოვლისა უარყოფითად აისახება მოსახლეობის ყველაზე ღარიბ და სოციალურად დაუცველ ფენებზე. დღეს მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს ე.წ. „ერთ კაცზე გათვლილი ფართობის სანიტარული ნორმის“ შემცირების პროცესი, ანუ იმ საცხოვრებელი სივრცისა, რომელიც ფიზიკური და ფსიქოლოგიური არსებობისთვის მინიმალურად მიიჩნევა. ეს კი ხელს უწყობს ტერიტორიების გამოთავისუფლებას და ადამიანთა უზარმაზარი ჯგუფების გადასახლებას გეტოებში მათი შემდგომი უტილიზაციის მიზნით. საინტერესოა, არის თუ არა ადამიანის საცხოვრისი მისი საკუთრება (როგორც, მაგალითად, ტანისამოსი), თუკი მან უნდა იხადოს გადასახადები? და საერთოდ, კონკრეტულად, მოცემულ შემთხვევაში, რატომ იხდის მოქალაქე გადასახადს საცხოვრებელ ფართზე? თუკი სახლის პატრონი საცხოვრებლის გადასახადს არ გადაიხდის და შეიძლება ამის გამო ის გამოასახლონ თავისი კარ-მიდამოდან, შეიძლება თუ არა ის წარმოადგენდეს საკუთრებას? თუკი ადამიანს არ შეუძლია იცხოვროს ჭერის გარეშე, ხომ არ არის საცხოვრებელზე და მიწაზე არსებული გადასახადი სიცოცხლის უფლების საურავი?ასეთია მდგრადი განვითარების მიზნების ნაწილი, რომელიც მსოფლიომ, მათ შორის, საქართველომ 2030 წელს უნდა მიაღწიოს.



13 მარტს, დაახლოებით ერთი დღის შემდეგ, რაც **COVID-19**-მა კარანტინში ჩასვა მთელი დასავლური სამყარო, ბილ გეიტსმა დატოვა **Microsoft**-ის საზოგადოებრივი საბჭო, რათა „მეტი დრო დაეთმო საქველმოქმედო პრიორიტეტებისთვის, გლობალური ჯანდაცვისა და განვითარების ჩათვლით“. მსოფლიოში პანდემიის გავრცელებისდა კვალად გეიტსი სულ უფრო გულახდილი და ავტორიტეტული ფიგურა ხდებოდა პანდემიურ კრიზისში, რომელიც ყველა მასობრივ საინფორმაციო საშუალებაში ჩნდებოდა, რათა თავისი შეხედულებები და რეკომენდაციები გაეზიარებინა. 18 მარტს ბილ გეიტსმა მონაწილეობა მიიღო „მკითხე რაიმე“ სატელევიზიო გადაცემაში. ერთ-ერთ თავის პასუხში ბილ გეიტსმა ახსენა „ციფრული სერტიფიკატი“ აცრილი ადამიანების სათვალთვალოდ. კითხვაზე, „როგორი სახის ცვლილებები უნდა შემოიტანოთ კომპანიათა მუშაობაში, რათა მხარდაჭერა მიიღოს ჩვენმა ეკონომიკამ, და თანაც უზრუნველყოს სოციალური დისტანცირება?“ ბილ გეიტსმა ასე უპასუხა – „საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ფირმები შეძლებენ წინსვლას, რთულია. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია სურსათი და ჯანდაცვის სიტემა. ჩვენ ჯერ კიდევ გვჭირდება წყალი, ელექტროენერგია და ინტერნეტი. მიწოდების ჯაჭვი აუცილებლად უზრუნველყოფილი უნდა იყოს. ქვეყნები ჯერაც ცდილობენ გაარკვიონ, როგორ მოერიონ ვითარებას. საბოლოო ჯამში ჩვენ გვექნება რამოდენიმე ციფრული სერთიფიკატი, რომელიც აჩვენებს, ვინ გამოჯანმრთელდა ან სულ ახლო წარსულში გაიარა ტესტირება...“

„ციფრული სერთიფიკატის“ ეს კონცეფცია, რომლის მიხედვითაც აცრა ინახავს სამედიცინო ინფორმაციას (მიღბული ვაქცინის ჩათვლით) და უფლებების მიცემა სხვადასხვა მომსახურეობებისადმი უბრალო წინადადება არ ყოფილა. ეს არის უზარმაზარი პროექტის ნაწილი, რომელსაც დღეს მსოფლიოში ატარებს ჯგუფი **ID2020**, და რომელსაც მხარს უჭერენ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, როკფელერის ფონდი და... ბილ გეიტსი.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# როგორ იბადებოდა ევროკავშირი



მომავალი ევროკავშირის საძირკველი ჯერ კიდევ 1920–30-იან წლებში ჩაეყარა ინგლისურ სამეცნიერო ჯგუფ „ჩეტემ-ჰაუსში“, რომელსაც ცნობილი ისტორიკოსი არნოლდ ტოინბი ხელმძღვანელობდა. მათი იდეის საფუძველი იყო მარქსიზმი, საშემოსავლო და ევროპის ქვეყნების სუვერენიტეტის ლიკვიდაცია. 1990-იან წლებში როკფელერის გარემოცვაში გაჩნდა იდეა ევროკავშირში შემავალი ქვეყნების დანაწევრების შესახებ.

ინგლისელი ისტორიკოსის ნიკოლას ჰაგერის წიგნში „სინდიკატი. მსოფლიო მმართველობის ისტორია“, აღწერილია, როგორ გაჩნდა ევროინტეგრაციის იდეა.

1919 წელს ინგლისელმა ლაიონელ კერტისმა, ლორდ მილნერის მდივანმა „მრგვალი მაგიდისთვის“ (როტშილდების ფულით შექმნილი ერთ-ერთი ანალიტიკური ორგანიზაცია) შეიმუშავა ფრონტალური სისტემა, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა სამეფო ინსტიტუტი. ზოგჯერ მას „ჩეტემ-ჰაუსის კვლევით ჯგუფსაც“ უწოდებდნენ, ან, უბრალოდ, ჩეტემ-ჰაუსს. ამ ორგანიზაციის პირველი ხელმძღვანელი გახდა მსოფლიოში ცნობილი ისტორიკოსი არნოლდ ტოინბი. იმავე წელს აშშ-ში შეიქმნა „საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ჰაუსი — პოლკოვნიკი და აშშ-ის პრეზიდენტის ვილსონის მრჩეველი. ორივე ინსტიტუტი



როტშილდების კლანის იდეის — მსოფლიო ბატონობის პრაქტიკაში განხორციელებაზე მუშაობდა. ამასთან, ჰაუსი მარქსისტი იყო.

„ის ისეთი სოციალიზმის აშენებაზე ოცნებობდა, როგორის ნახვაც კარლ მარქსს უნდოდა — მსოფლიო ხელისუფლებით და საშემოსავლო გადასახადით“, — წერს ჰაგერი.

ლონდონში, ჩეტემ-ჰაუსში უმნიშვნელოვანეს ამოცანად ბრიტანეთის იმპერიის მსოფლიო იმპერიად გადაქცევა მიაჩნდათ, მაგრამ 1920-იანი წლების შუა წლებში ინსტიტუტი სხვა იდეაზე — გაერთიანებული ევროპის შექმნაზე გადაერთო. ამის მიზეზი კი აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე მოვლენები გახდა.

1926 წელს სტალინმა საჯაროდ განაცხადა: „უნდა შეიქმნას ევროპის ფედერალური შტატები, რომელშიც უნდა შევიდეს საბჭოთა კავშირი და ინგლისი. როგორც კი ინგლისს გადაყლაპავს, საბჭოთა კავშირი წარმმართველ ძალად იქცევა“. ევროპის საქმეებით სტალინის დაინტერესება ადვილად შეიძლება აიხსნას: როკფელერების კლანმა (როტშილდების კონკურენტი გლობალური მასშტაბით) გადაწყვეტილება მიიღო, ერთმანეთისთვის „დაეჯახებინათ“ საბჭოთა კავშირი და გერმანია. როკფელერებმა იმ წელს საბჭოთა კავშირში ქვეყნის მასშტაბური ინდუსტრიალიზაციისთვის მზადება, გერმანიაში კი ნაცისტების დაფინანსება დაიწყეს (იმ იმედით,





რომ ისინი მალე მოვიდოდნენ ხელისუფლების სათავეში). იდეალში როკფელერები ისწრაფვოდნენ გერმანიისა და რუსეთის კონფედერაციისკენ (ორივე ქვეყნის მიერ აღმოსავლეთ ევროპის „ჯუჯა“ სახელმწიფოების ჩაყლაპვის ხარჯზე).

ტოინბი აშშ-ში მიემგზავრება პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ამერიკის გენერალური შტაბის მეთაურის, ტასკერ ბლი-



სის, ჯონ ფოსტერ დალესის და მისი ძმის, ალენ დალესის დაქვემდებარებაში. იმავე პერიოდში, 1920-იანი წლების ბოლოს, არნოლდ ტოინბიმ და ჯონ ფოსტერ დალესმა ჩამოაყალიბეს მიზანი: ევროპაში ნაციონალური ქვეყნები უნდა განადგურდეს. ამასთან, მათი შეხედულებები განსხვავდებოდა: დალესი რესპუბლიკელი იყო და მიიჩნევდა, რომ ევროპის ნაციონალური ქვეყნების დასასრული მშვიდობის გარანტი იქნებოდა, ტოინბი კი თავს მარქსისტად მიიჩნევდა და უარყოფდა იდეოლოგიური შეხედულებებით ნაციონალური სახელმწიფოების არსებობას.

ჩეტემ-ჰაუსში ტოინბი წამყვან როლს თამაშობდა 1955 წლამდე (ამასთან, ის ლონდონის ეკონომიკის სკოლის პროფესორიც იყო). 12-ტომიანმა ნაშრომმა „ისტორიის შეცნობა“ მას მსოფლიო აღიარება მოუტანა. ის საკუთარ გავლენას იყენებდა ნაციონალური სახელმწიფოების განადგურების იდეის პროპაგანდისა და მათი მსხვილი სახეწლმწიფოთაშორისი ბლოკებით შეცვლის მიზნით. ტოინბი მიიჩნევდა, რომ ევროპამ დაკარგა ჩინეთსა და სამხრეთ აფრიკაზე გავლენა, მან მთელი ყურადღება საკუთარ რეგიონს უნდა მიაპყროს და მსოფლიოს შორეული ქვეყნები ამერიკის კონტროლს დაუქვემდებაროს. 1930-იანი წლების შუა წლებში ამ იდეებით იყო „დაავადებული“ მთელი ბრიტანული ისტებლიშმენტი. მაგალითად, კლემენტ ეტლიმ, ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა 1934 წელს ყრილობაზე განაცხადა: „ჩვენ შეგნებულად ვაყენებთ მსოფლიო წესრიგის ერთგულებას საკუთარი ქვეყნის ერთგულებაზე მაღლა“.

ტოინბის გუნდში, რომელიც მომავალი ევროკავშირის თეორიულ საფუძვლებზე მუშაობდა, შედიოდნენ: ბრიტანელი მარქსისტები რ.ჰ. ტაუნი და უილიამ ტემპლი (რომელიც მოგვიანებით კენტერბერიის მთავარეპისკოპოსი გახდა). ისინი მხარს უჭერდნენ ფედერალური და რეგიონული ორგანიზაციების შექმნას და ევროპის გაერთიანებას, რომელსაც 25 სუვერენული ქვეყანა უნდა „გადაეყლაპა“. ტოინბის გუნდის კიდევ ერთი წევრი იყო ეკუმენისტი ვისტერ ტ’ჰოფტი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი.





ფაქტობრივად, მეორე მსოფლიო ომი ორი იდეის ბრძოლად იქცა, სადაც ორივე მხარეს ერთი მთავარი მიზანი ჰქონდა: გაერთიანებული ევროპა. საბოლოოდ კი არნოლდ ტოინბისა და ჯონ ფოსტერ დალესის გეგმამ გაიმარჯვა.

ის ევროკავშირი, რომელიც დღეს არსებობს — მარქსიზმის (ევროსოციალიზმის) იდეებზე და ზესუვერენული ხელმძღვანელობის არსებობაზე დაფუძნებული — სულაც არ არის საბოლოო კონსტრუქცია.

სამმხრივმა კომისიამ, რომელიც დევიდ როკფელერმა 1972 წელს დააფუძნა (თვითონ მას ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკის ხელმძღვანელის პოსტი ეკავა), ჯერ კიდევ 90-იან წლებში წამოაყენა ევროპის შეცვლის გეგმა, რომელიც ლუდის სახარში კომპანია „ჰეინიკენის“ ხელმძღვანელმა და სამმხრივი კომისიის წევრმა ფრედი ჰაინეკენმა გააჟღერა — ევროპაში ათეულობით ახალი სახელმწიფოს შექმნა. თითოეული ქვეყნის მოსახლეობა 5-10 მლნ. უნდა ყოფილიყო.

ჰეინეკენია თავის წინადადებას ამყარებდა იმით, რომ მონონაციონალური სახელმწიფოები უფრო ეფექტიანები არიან. ასევე მას მაგალითად მოჰყავდა ამერიკელი ისტორიკოსის ლეოპოლდ კორის (მარქსისტული იდეების მიმდევარი) შრომები იმის შესახებ, რომ სწორედ ამერიკის მცირერიცხოვანი შტატები იქცნენ აშშ-ის აყვავების მთავარ მიზეზად (მისი თეორია იმის შესახებ, რომ ფედერალური ორგანოების მიერ პატარა სუბიექტების მართვა უფრო ადვილია).

აწ გარდაცვლილი ჰაინეკენის იდეა ევროპაში ჯერჯერობით მარგინალურად ითვლება, მაგრამ ასეთივე მარგინალურად ითვლებოდა 1920-იანი წლების დასაწყისში ტოინბის იდეა კონტინენტზე ევროკავშირის შექმნის შესახებ.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

---



**77 წლის ასაკში გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი**

**მურად წივწივაძე.**

**მურად წივწივაძე დაიბადა 1943 წლის 29 ოქტომბერს თერჯოლის რაიონის სოფელ კვახჭირში.**

**სათამაშო კარიერა 1962 წელს ტყიბულის „მეშახტეში“ დაიწყო. 1965 წელს თბილისის „ლოკომოტივში“ გამოდიოდა, ხოლო 1963-1964 და 1966-1968 წლებში სსრკ უმაღლეს ლიგაში ქუთაისის „ტორპედოს“ ღირსებას იცავდა. თამაშობდა ცენტრალური მცველის პოზიციაზე. ჩაატარა ჩემპიონატის 83 მატჩი.**

**1981 წელს მურად წივწივაძემ გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე ქუთაისის „ტორპედო“ სსრკ უმაღლეს ლიგაში მეორედ აღაზევა, რისთვისაც დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა.**

**მურადის ვაჟი – კახა ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელი გახლდათ, ცნობილი კალათბურთელია მისი შვილიშვილი ბექა წივწივაძე.**

დაკრძალვა შაბათს, 8 აგვისტოს;
თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. კვახჭირი

---

**„საერთო გაზეთის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ქალბატონ დოდო წივწივაძეს ძმის**

**მურად წივწივაძის**

**გარდაცვალების გამო.**

# შეკვეთილის ხეთა მაჯისცემა საქართველოს უკვდავებისთვის

## რადგანაც ხე დედაბოძია ქართული მითოლოგიით; და რადგანაც ხე სვეტიცხოველია თეოლოგიურად; და რადგანაც ხე იგივე ქრისტეა, იგივე მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა — საქართველო, მათზე მზრუნველობით, ბატონი ბიძინა ივანიშვილი დაჭიდებულია უდიდეს მამულიშვილურ საქმეს — საქართველოს უკვდავების საქმეს



კი, ბატონო, მოხდა მათი ლუსტრაცია, მაგრამ ავადსახსენებელი კოჰაბიტაციის შემწეობით, ნაციონალური სიმსივნე ჩაენერგა „ოცნების“ სხეულს და ამ ბაცილამ უამრავი ჯანსაღი „სხეული“ ჩაითრია... არადა, კარზე მომდგარია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან — ყარსის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების ვადები იწურება და საქართველოს მომავალი ბურუსითაა მოცული.

წიგნიერი ქართველისთვის ცნობილია, რომ ეკატერინე ჭავჭავაძემ ზუგდიდში გააშენა უნიკალური ბოტანიკური ბაღი, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა მთელს კავკასიაში, მაგრამ ბატონმა ბიძინამ გააკეთა გაცილებით მასშტაბური და მიზანმიმართული — დენდროლოგიური პარკი შეკვეთილში, სადაც რამდენიმე ასეული ჯიშის იშვიათი სილამაზის სამამულე ხეა განთავსებული.

შეიძლება ბევრმა არც იცოდეს, რომ ოქრომრავალ კოლხეთში უხსოვარ დროში გიგანტური სალოცავი გვიმრის ხეები ხარობდნენ, რომლებიც დროთა მსვლელობაში გადაშენდნენ, გახრიოკდნენ, გაგვიმრუჭდნენ და აწ ცელითაც ითიბება.

აკადემიკოს **არნოლდ გეგეჭკორისგან**, პროფესორ **გიორგი ფარულავასგან** თუ სხვების გადმოცემით ვიცი, რომ გვიმრის ხეები ზელანდიაში ახლაც იზრდებიან პრეისტორიული ჟამსვიანობით; ზღვისპირა ჭაობნარ ადგილას, ჭურიაში, დღესაც არის კუნძული **დიდგვიმარონის** სახელწოდებით, სადაც იმ პერიოდში არსებული ხე-გვიმრის უკანასკნელი ეგზემპლარები ხანძარს გადაუბუგავს.

სანდო არხით მივაწვდინე ხმა უამრავი საშვილიშვილო პროექტის სულისჩამდგმელ პიროვნებას საქართველოში — ბატონ **ბიძინა ივანიშვილს**, რათა ზელანდიიდან ჩამოეტანა ხე-გვიმრის რამდენიმე ეგზემპლარი თავისი დენდროლოგიური პარკისთვის, რათა სიმბოლურად აღდგილიყო ის მითთაჟამინდელი კოლხეთი, ის საქართველო, რომელიც ოდესღაც ამაღლებული და სწორუპოვარი იყო მთელს დედამიწაზე.

ამ ყველაფერზე სასაუბროდ ტრიბუნას ვუთმობთ სულიერების მეცნიერებაში ხელდასხმულს, მედიუმს ადამიანებსა და ცაბაოთ-ღმერთს შორის, წმინდა ნინოს ეკლესიის დეკანოზს, **მამა მიქაელს (ბუკია)**: „ოჯახი იგივე ხემარადია. შვეტიცხოველი, ედემის ხეთა — ცნობად-ყოფადისა და სიცოცხლის მომნიჭებელი ორი ხე-ფენომენის ერთ ხედ, ერთ დედაბოძად შესინთეზების მისტერია, რომელიც იდუმალებს თითქოსდა ყველას თვალწინ მდებარე სიტყვაში — **ოჯახი** და რომელიც სინამდვილეში გაცილებით მეტისმომცველია — მარადიული სიცოცხლის საბრძანისი, სადაც კაცობრიული ორი საწყისი — **მდედრი** და **მამრი** ერთი შინაარსით იტვირთება, ერთ ჭეშმარიტებად შეგარსიანდება ხოლმე.

რადგანაც საქართველო იყო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. ესეც, ეტყობა, ერთგვარი კოდი იყო ქართველი კაცისთვის, რის გამოც განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა დედის მიმართ. ამიტომაც არის, რომ მარტო ქართულად ჰქვია პლანეტას ჩვენსას **დედამიწა**. მიწისგან არის ადამიანი შექმნილი და შესაბამისად, ამიტომ ვუწოდებთ მას დედას. საქართველოში ყოველთვის იყო დედის კულტი. ეს აისახა ჩვენს მეტყველებაში ეტიმოლოგიურადაც: **დედაენა, დედაბოძი, გუთნისდედა, დედასამშობლო** და სხვა. სწორედ ამის დამსახურება იყო ცოტა მოგვიანებით დედის წილხვედრ ქვეყანაში დედამ რომ იქადაგა. ის, რაც ვერ შეძლეს ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანაანელმა. სამოთხეში ორი ხე იყო — ხე ცნობად-ყოფადისა და ხე სიცოცხლისა — უკვდავებისა. პირველი ხის ნაყოფი რომ იგემა ადამმა, ცოდვით დაცემული განიდევნა სამოთხიდან, რათა იმ მეორე ხის ნაყოფიც არ ეჭამა და მარადიულ ცოდვაში არ დარჩენილიყო, ანუ არ ყოფილიყო **უკვდავი ცოდვილი**.

ხე ჩვენთვის ძალიან ბევრი რამით არის მნიშვნელოვანი. აი, მაგალითისთვის, არის ასეთი გამოთქმა, რომ **ხე ფესვებით იზომებაო**. ამ თვალსაზრისით ჩვენ, ქართველებს, ძალიან დიდი ფესვები გვაქვს. უდაბნოში ყოფილა რაღაც მცენარე, რომელიც მიწის ზედაპირიდან ერთი მეტრია და 26 მეტრის ფესვები ჰქონია. მგონი **გორგორა** ჰქვია, **ქარქვეტა**. შეხედეთ ფრაზას: „ფეხი **მთებრ დასდგას ქვეყანად, ტინურად დამტკიცებული, ვითა ქარქვეტა ქართაგან არ იქმნას, მოტაცებული**“. აბა, მესხურად ნახე — **ჯახი** ჰქვია — **Перекати-поле, ippomorathrum crispum, Конски фенхель.** მოგვიანებით ჩავუღრმავდები ქარქვეტას ბოტანიკურ მონაცემებს. იგი ბალახოვანი მცენარე აღმოჩნდება — **საქსაული, უდაბნოთა ერთ სხეულად მკონავი, ქვიშროვანების შემაკავებელი ენერგია**. — იგი ამავდროულად სვეტიცხოველიცაა, მარადიულობის სიმბოლო, სიცოცხლის მომტანი ცისიერი წყალობა, სადაც არის დაუნჯებული კვართი უფლისა.

თავად ქრისტესთანაა წილნაყარი — კვართიც, ცხოველი სვეტიც, დედაბოძიც, ის ხეც — ცნობადისა — სიკეთისა და ბოროტებისა ერთი, ხე ცხოვრებისა, უკვდავებისა — მეორე, საერთოდ ერთხორცსხმული ხე, ხე, როგორც ჯვარი, როგორც ცხოველმყოფელი ძელი, რომლის შეხებითაც ჩვენ გვახსოვს პირველი სასწაული — ელენე დედოფალმა მისი მოძიება გადაწყვიტა იერუსალიმში, სადაც მაცხოვრის ძელზე გასვლის ადგილია. მოგვიანებით იქ ვენერას წარმართული ტაძარი აშენდა. აი, იმ ალაგას რომ გათხარეს, სამი ჯვარი აღმოაჩინეს და, მათგან ერთ-ერთი მიცვალებულს რომ შეახეს, იგი მყისვე გაცოცხლდა, ანუ ცხოველმყოფელი ყოფილიყო და მიხვდნენ, რომ, დიახაც, იმ ჯვარს მიაგნეს, რომელზედაც ქრისტე მაცხოვარი გაეკრა კაცობრიული ცოდვის თრგუნებად, მძლეობად სიკვდილითა სიკვდილისა.

**სიწმინდე იმისთვის არსებობს, რომ ადამიანს სულის სითბო ჩაუღვაროს და სიყვარული გაუღვივოს. აქ გამოკვეთილია კვართის ზოგადეროვნული, ზოგადსამყაროსეული მნიშვნელობა. ერთ ეკლესიაში კი არა, სხვადასხვა ეკლესიაში უნდა მოძრაობდეს იგი, დასვენდეს, როგორც ჩვენი უნიკალური ხატი სულიერებისა. მიმაჩნია, რომ საქართველოს გამთლიანებას ეს**



**განსაკუთრებულად შეუწყობს ხელს. ეს იქნება დედის კალთის გადაფარება მთელს საქართველოზე.**

●

რაც შეეხება ბატონ ბიძინა ივანიშვილის ფენომენს, შეკვეთილში მის მიერ სულშთაბერილ უნიკალურ დენდროლოგიურ პარკს, მას მსოფლიოში ანალოგი არ ეძებნება. თავისი ნატურით ბატონი ბიძინა დიდი ფსიქოლოგია, იგი ზედმიწევნით **ენათესავება სკანდინავიელ დრუიდებს**, რომელთა სწავლებით თითოეული ხე რაღაც აღმატებულ თვისებას ანივთიერებს ადამიანში და რადგანაც ხე დედაბოძია ქართული მითოლოგიით; და რადგანაც ხე სვეტიცხოველია თეოლოგიურად; და რადგანაც ხე იგივე ქრისტეა, იგივე მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა — საქართველო, მათზე მზრუნველობით, ბატონი ბიძინა ივანიშვილი დაჭიდებულია უდიდეს მამულიშვილურ საქმეს — საქართველოს უკვდავების საქმეს.





**გური ოტობაია,**
მწერალი.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001